რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 9 მარტი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 20 კაპ.

გაზეთი ღირს: ერთი თვით 4 მ. 50 კ., ორი თვით 9 მ., სამი თვით 13 მ. 50 კ. ექვსი თვით 27 მ. ერთი წლით 50 მ. ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 ნახ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 55 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 55

გულდათუთქულნი: მეუღლე მარუსა, მამა პავლე, დედა ანეტა, ძმა იოსებ, დები: ნინა, ვერა და მარუსა, აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ, რომ ქალაქ ხაშურში 6 მარტს, ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა
ინჟინერ ტეხნოლოგი

ალექსანდრე პავლეს ძე ცხვიტარია

პანაშვიდი ქ. ხაშურში ყოველდღე საღამოს 5—6 საათ. დასაფლავება მოხდება კვირას 11 მარტს, ხაშურის სასაფლაოზე. (2—1)

ღრმად დამწუხრებულნი: დედა ეკატერინე სტეფანეს ასული მჭედლიშვილისა, ძმები: კოტე და ნიკოლოზი იოსების ძე მჭედლიშვილები, დები: მარიამი, თამარა იოსების ასულნი მჭედლიშვილები, ნინო იოსების ასული იმედაშვილისა და სიძე ვანო იობის ძე იმედაშვილი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა მათი დაუვიწყარი, შვილი, ძმა და სიმამრიშვილი

ვანო (ივანე) იოსების ძე მჭედლიშვილი.

ცხედარს გამოასვენებენ კვირას, 11 მარტს, წმინდა მარინეს ეკლესიაში, დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე, პანაშვიდები ყოველდღე საღ. 6 საათ. თავის სახლში, თელავის ქუჩა, სახლი № 47. (2—1)

შაბათს, 10 მარტს, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოს ეკლესიაში გარდახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი უდროვოდ გარდაცვალებულის საფლავზე ძვირფას და დაუვიწყარ

იოსებ ეფრემის ძის წილოსანის

სულის მოსახსენებლათ, რასაც მწუხარებით აუწგებენ ნათესავთა, მეგობართ და ამხანაგებს, გულდაწყვეტილნი მეუღლე ნატალია ივანეს ასული, დედა სოფიო წყალობის ასული წილოსნები, დები და სიძეები. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი 12 საათზე. (1—1)

არტისტულ საზოგადოების საკონცერტო დარბაზი.
კვირას, 11 მარტს ამიერ-კავკასიის სეიმის წევრი

მიხეილ ნიკოლოზის ძე სმირნოვი

წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე:

„ეკონომიური განვითარების კანონი და კავკასიის დამოუკიდებლობა"

ლექცია დაიწყება დღის 12 საათზე. ბილეთები 5 მან.—50 კაპ.-დე, იყიდება ამ თავითვე გაზ. „ბორბის" კანტორაში დილის 10—2 საათ. და საღ. 5—8 საათამდე. ლექციის დღეს კი თვით არტისტულ საზოგადოების შენობაში დილის 10 საათიდან. (3—1)

თფილისის მუშ. და ჯარ. დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული კულტურულ-განმანათლებელი საზოგადოება.
1917 წლის 17 დეკემბრიდან გაიხსნა

სახალხო უნივერსიტეტი

(მიხეილის პრ. № 91)

იკითხება შემდეგი საგნები:

| | | |
|---|---|---|
| 1. | ასტრონომია | ბეკი |
| 2. | ანატომია და ადამიანის ფიზიოლოგია | სტავინსკი. |
| 3. | მათემატიკა | გეკკერი. |
| 4. | ფიზიკა | მეფერტი. |
| 5. | გეოგრაფია | მაროზოვი. |
| 6. | პოპულიარული მედიცინა და გიგიენა | წულუკიძე. |
| 7. | რევოლიუციონური მოძრაობის ისტორია | იშკოვი. |
| 8. | ლიტერატურის ისტორია | პალმოვი. |
| 9. | ძველი წყობილება და რევოლიუცია საფრანგეთში | ჩემოდანოვი. |
| 10. | პოლიტიკური ეკონომია | მახვილაძე. |
| 11. | საზოგადო შემეცნება უფლებაზე | სტრელკოვსკი. |

5 მარტიდან მოწვეულია ახალი ლექტორები:

| | |
|---|---|
| პროფ. მაქსიმოვი | მცენარეთა ცხოვრება. |
| პროფ. მიშჩენკო | საზოგადო ბიოლოგია. |
| პროფ. ხარაზოვი | შესავალი უმაღლესი მათემატიკისა. |
| პრივატდოცენტი სელიხანოვი | ფსიხოლოგია. |
| სტ. ვოლსკი | მარქსიზმის ფილოსოფია. |
| ამ. ლემლეინი | ფიზიკა. |
| ნევტოროვი | ქიმია. |

ლექციები იკითხება საღამოს 7 საათიდან. არავითარი წინასწარი მომზადება მსმენელს არ ესაჭიროება.

სწავლა უფასოა.

ჩაწერა ხდება დილის 11 1 საათამდე და საღამოს 5—10 საათამდე სახალხო უნივერსიტეტის შენობაში. (3—1)

## თფილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტისაგან

მიმდინარე წლის 6 მარტს გუბერნიის სასურსათო კომიტეტმა შესცვალა პროდუქტების და ყოველივე მოსახმარ საგნების შემოტან-გატანის არსებული წესი და დაადგინა შემდეგი:

1) გუბერნიის სასურსათო კომიტეტის ნებადაურთველად თფილისიდან არ გაიტანება: კარაქი, ერბო, ყველი, საპონი, შაქარი, ჩაი, ასანთი (სპიჩკა), ფქვილი, ძაფი, თამბაქო და თამბაქოს ნაწარმოები, ნავთი, მანუფაქტურა, ტყავი და ტყავეულობა, გოგირდი, შაბიამანი, რკინეულობა (желѣзо сортовое), ლურსმანი, მავთული, სამეურნეო იარაღები, აბრეშუმის თესლი—გრენა, ოთხფეხი საქონელი, სასურსათო პროდუქტები, ხახვი, მწვანილი და ფურაჟი.

2) ნებადართულია დაუბრკოლებლად გატანილ იქნეს: საგალანტერიო საქონელი, საოჯახო ნივთები, მონპასე, პამფიუმერია (საპნის გარდა), საწერი ქაღალდი, სააფთიაქო საქონელი, კონსერვები, და მატყლი.

3) ყოველივე სასურსათო პროდუქტების და საგნების შემოტანა თფილისში ხდება დაუბრკოლებლად, მხოლოდ საჭიროა ადგილობრივ სასურსათო ორგანიზაციების ნებართვა.

ამ დადგენილებასთან ერთად ყველა აქამდე გამოცემული სავალდებულო დადგენილებანი და განკარგულებანი ამ საგნის შესახებ ითვლება გაუქმებულად. (3—1)

გუბერნიის სასურსათო კომიტეტი.

## პირველი ნაბიჯი

ამიერ-კავკასიის სეიმმა მეტათ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. მან უკვე დაამტკიცა კანონი მემამულეებისთვის მიწების ჩამორთმევის შესახებ. 7 მარტის [illegible]

[illegible] რომ საკვირველია, რომ მუსულმანების ძლიერმა პარტიამ „მუსავატმა" თუმცა დიდი ყოყმანის შემდეგ, მხარი დაუჭირა მიწის კანონს და ამგვარათ ეს მნიშვნელოვანი ზომა სეიმის მიერ ერთხმათ იქნა დაკანონებული.

დეე, მართალი იყოს ის, რომ მუსულმანების წარმომადგენლებს ამ საქმეში გულწრფელობა აკლიათ, დეე ისინი წინაალმდეგი იყონ გლეხებისთვის მიწების გადაცემის. სიტყვა წარმოთქმულია, ნაბიჯი უკვე გადადგმულია და ამიერიდან არავითარ ძალას არ შეუძლია გლეხებს ხელიდან გამოგლიჯოს მიწა.

მხოლოდ ერთი ძალაა, რომელსაც შეუძლია გლეხებს ისევ წაართვას მიწას—ეს არის ოსმალეთის შემოსევა.

მაგრამ მიწის საკითხი გააერთიანებს ამიერ-კავკასიის ყველა მცხოვრებთ—როგორც ქართველებს, ისე სომხებს და თათრებს და სამშობლოს დაცვის საქმეში ჩააბამს.

ამიერ-კავკასიის ხალხთა ერთობას მკვიდრი ნიადაგი მოუმზადდა. ხალხის ყველა მოკეთე ვალდებულია ამ კანონის განხორციელებას ხელი შეუწყოს და მით ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობას ხელი შეუწყოს.

## გარეშე საფრთხე და კლასთა ბრძოლა

როცა საფრანგეთს გერმანიის ლაშქარი შეესია, იქაურმა მუშათა კლასმა მთავრობის და პარტიის მოწოდებით ერთსულოვნათ მიაშურა საფრანგეთის საზღვრებს. მარქსისტების საუკეთესო ბელადებმა—მოუწოდეს მუშათა კლასს დაუყონებლივ შეეჩერებიათ შინაური ბრძოლა, შეეწყვიტათ კლასიური ბრძოლა და ყველანი მოსულ საფრთხის წინაშე შეერთებულიყვნენ. ამ რიგათ დაარდა ე. წოდებული „სამოქალაქო ზავი". კლასთა ბრძოლის ადგილი დაეთმო კლასთა თანამშრომლობას.

ჩვენ მაშინაც კარგათ ვიცოდით, რომ ასეთ „თანამშობლობის" იდეა დიდხანს ვერ იბოგინებდა. და ვერ იბოგინებდა პირველ ყოვლისა გაბატონებულ კლასების გაუმაძღრობის გამო. ამ კლასების სურვილია—მუშათა კლასი გააჩერონ, დაბორკონ, ხოლო თვით იმავე დროს მათ ზურგზე მალაყს გადავიდენ, მათი მორიგების ტაქტიკა თავის კლასიურ ინტერესების სასარგებლოდ გამოიყენონ.

და აი, როცა პროლეტარიატმა ხელი აიღო თავის ბრძოლის მეთოდების განხორციელებაზე, ბურჟუაზიულ წრეებმა ხელი მიყვეს მათი ექსპლოატაციის ზრდას და თავის ჯიბეების გასქელებას. „სამოქალაქო ზავი" მათ გამდიდრების წყაროთ გაიხადეს.

დღეს ჩვენს ქვეყანასაც ასეთივე საფრთხე მოელის, ოსმალეთის ჯარი კარზე გვადგია, ოსმალთა აგენტები შინ მაჰმადის მორწმუნე ხალხებს ჩვენს წინაალმდეგ აჯანყებენ, რომ ანარქიის ცეცხლში ჩასწვან ჩვენი ქვეყნის თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

უმეტესი გასაკვირი არ ქონია საქართველოს კერძო და მთელ ამიერ-კავკასიის საერთოთ ამ ასი წლის განმავლობაში.

მარა აქ შინაგანი მდგომარეობა სულ სხვა გვარია. აქ მთავრობაში მუშათა პარტიის წარმომადგენლები იმყოფებიან და ამ კრიტიკული მომენტის მთელი სიმძიმე მათ აწევა კისერზე. როგორ იქ[illegible]

[illegible] პარტიას, რომელიც მეთაურობს საზღვრების დაცვას.

ჩვენ ეს არ გვაკვირვებს. არ გვაკვირვებს, როცა „საქართველო" ანარქიის ქადაგებამდეც კი ჩამოქვეითდა. არ გვაკვირვებს, როცა „სახ. საქმის" სულის ჩამდგმელი ჩვენი ფედერალისტები ერთსა და იმავე ნომერში, ერთი მხრით თათრის ბეგებთან უკმაყოფილების ჩამოგდებას გვისაყვედურებენ, მეორე მხრით—ქართულ ნაციონალისტურ პოლიტიკის უარყოფას. თითქმის ოსმალთა შემოსევასაც კი იმ გარემოებას აწერენ, რომ ჩვენ ქართველ ნაციონალისტებივით არ ვმღეროდით. და ეს გამწვავებული ბრძოლა სწარმოებს სწორეთ მაშინ, როცა გამწვავებულია საერთო მდგომარეობა ფრონტზე და შინ.

კლასთა ბრძოლა არ ცხრება გარეშე საფრთხის წინაშე. „სამოქალაქო ზავი" არ მყარდება თვით ერის ფიზიკურ გაჟლეტის აჩრდილის თვალწინ ატუზვის დროსაც. პირიქით, იგი შემოდგომის ბუზივით ეხლა უფრო მწარეთ იკბინება.

ჩვენ ეს არ გვიკვირს, ვიმეორებთ. ჩვენ ამას ველოდით. მაღალ კლასებს უყვართ დათმობის პოლიტიკა, როცა მათ სხვები, მუშები და გლეხები უთმობენ. მათ არ მოსწონთ არც დათმობა, არც თავდაჭერილობა, როცა ეს მათგან მოითხოვება. კავკასიის და კერძოთ ქართველმა დემოკრატიამ უნდა კარგათ შეიგნოს ეს და თავის კლასობრივი ინსტინქტით მიხვდეს, რომ მის ხელში დღეს უდიდესი საბრძოლველი საგანია, უმძიმესი საქმე—დაცვა ერის არსებობის და ამით დაცვა დემოკრატიის, — შინაურ მჩხავანა ნაციონალისტებისაგან და გარეთ შემოსეულ ოსმალთაგან.

გარეშე საფრთხის წინაშე შინაური ბრძოლა უფრო მწვავე ხასიათს იღებს. უნდა ზიდოს დემოკრატიამ ეს მძიმე ტვირთი, მის მძლავრ მხრებს შეუძლია ამის ზიდვა. და ის არ დაიხევს უკან, ხოლო იმ ვაჟბატონებს, რომელნიც ფეხებში ებორკებიან ამ გადამწყვეტ მომენტში—ის მოსთხოვს შესაფერ პასუხს.

## დაიცავით რევოლიუცია

ამიერ-კავკასიის სეიმი ცხოვრების განახლების საქმეს შეუდგა. ამ თვის 7 მარტის სხდომაზე მან სასწრაფოთ განიხილა და დაამტკიცა კომისიის მიერ წარდგენილი საადგილ-მამულო კანონპროექტი. ამიერიდან სოფლის ცხოვრების სიდუხჭირე, ბატონყმობის სამარცხვინო უღელი გაუქმებულია, მემამულის უპირატესობანი მოსპობილია; სოფლის მუშას—გლეხ-კაცს თავისუფალ განვითარებისთვის გზა ეხსნება და ისიც სწორუფლებიანი მოქალაქე ხდება.

ამ დიდებულ რეფორმას უეჭველია მოყვება სეიმის სხვა ნაბიჯები. ცხოვრების განახლება მკვიდრ და საიმედო ნიადაგზე დგება. ეს არც გასაკვირია, რადგან იშვიათია დედამიწის ზურგზე ისეთი დემოკრატიული წრომადგენლობითი დაწესებულება, როგორიც ჩვენი სეიმია. ის შეზღუდული არაა არც ზედა პალატის მოქმედებით, როგორც ეს ევროპის ბევრ ქვეყნებშია, არც მეფის ან პრეზიდენტის ვეტო—შემაჩერებელი უფლება. რასაც სეიმი დაადგენს, ის კანონათ ხდება და სეიმის მიერ არჩეული მთავრობა ვალდებულია ეს დადგენილება სისწორით აასრულოს. ერთის სიტყვით ჩვენ გვაქვს ყოვლად სრული და უნაკლულო პოლიტიკური წყობილება.

ამ პოლიტიკური თავისუფლებით ჩვენ შეგვიძლია ჩვენი მდიდარი მხარე ავაყვავოთ, რამდენიმე ათეულ წლის განმავლობაში ამიერ-კავკასია სამოთხეს დავამსგავსოთ.

მაგრამ ამ ფართო და ნორჩ თავისუფლებას საშინელი საფრთხე მოელის. ოსმალეთის ნახევრათ ველური სახელმწიფო ჩვენს წინაალმდეგ საომრათ ირაზმება და ჩვენს დაპყრობას ლამობს.

მძიმე და ძნელი ასატანია გარეშე მტრის მიერ შემოტანილი წესები, მაგრამ კიდევ უფრო სულის შემხუთველია ის ბატონობა, რომელსაც გაუნათლებელი სახელმწიფო ამყარებს. ასეთი გაუნათლებელია ოსმალეთის სახელმწიფო. ოსმალეთის შემოსევა, კიდევ უფრო აუტანელი იქნება იმიტომ, რომ ამიერ-კავკასიაში და მის საზღვრებზე მრავალი ველური ტომები და ხალხები ცხოვრობენ და ამათ ოსმალეთის გაბატონება ხელ-ფეხს გაუხსნის და მტაცებლურ მადას გაუღვიძებს.

ამიტომ არასოდეს ისე საჭირო არ ყოფილა ჩვენთვის საზღვრების დაცვა და გარეშე მტრის მოგერიება, როგორც ეს დღეს არის. ძველ დროში ოსმალეთის შემოსევას შემთხვევითი ხასიათი ქონდა: მოვიდოდა, დაგვარბევდა და ნადავლით უკან ბრუნდებოდა. დღეს ის ვერ იბატონებს ისე, თუ საკუთარი წესები არ დამყარდა ჩვენში. წარმოუდგენელია, რომ მან აქ იმაზე უკეთესი წყობილება შემოიღოს, ვინემ მას ეს საკუთარ სახელმწიფოში აქვს. ძნელი არ არის გამოცნობა თუ რა მოყვება ჩვენში ოსმალეთის მოსვლას, მაგრამ ეს ცოტაა; ოსმალეთის მოსვლით ისარგებლებენ ადგილობრივი ზოგიერთი ერები და ჩვენს მოსპობას შეუდგებიან.

ამიტომ გარეშე საზღვრების დაცვა დემოკრატიის უპირველეს მოვალეობას შეადგენს, ამისთვის კი მობილიზაციის მოხდენა და მოხალისეთა რაზმების შედგენაა საჭირო. ხანში შესულები ადგილობრივ ცხოვრების მოწყობის საქმეს უნდა შეუდგენ, ხოლო ახალგაზდებმა პოზიციებისაკენ უნდა გასწიონ.

რევოლიუცია განსაცდელშია. ჩვენი ვალია დავიცვათ ის და მით ჩვენი მომავალი უზრუნველვყოთ.

## გაერთიანებული მოქმედება.

კარგა ხანია ამიერ-კავკასია მთლიან ეკონომიურ და პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენს და აქ მცხოვრებნი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მჭიდროთ დაკავშირდენ. ეჭვს გარეშეა ასეთი გაერთიანებული ცხოვრება გაერთიანებულ და მტკიცე მთავრობას მოითხოვს.

მაგრამ ფაქტიურათ ამას ვერ ვხედავთ. ამიერ-კავკასიის მთავრობას, ამიერ-კავკასიის საკანონმდებლო ორგანო სეიმს სხვადასხვა „საზოგადოებრივი" დაწესებულებანი და პოლიტიკური პარტიები კრიჭაში უდგანან და მათ ყოველგვარ დადგენილებას თუ კანონს არ ემორჩილებიან. ერთად-ერთი რევოლიუციონური ცენტრებია, რომლებიც თავიანთ რევოლიუციონური მოქმედებით ამიერ-კავკასიის მთავრობას და საკანონმდებლო ორგანოს ამაგრებენ და რევოლიუციონურ წესს ამყარებენ. დანარჩენი ინსტიტუტები, როგორიც არიან ნაციონალური საბჭოები და ნაციონალური ჯარები, საერთო მთავრობის დაუკითხველად მოქმედებენ და მით მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში დიდი არეულობა შეაქვთ.

ამიერ-კავკასიის უფლებით და ნდობით აღჭურვილ მთავრობას არ ემორჩილებიან, დამოუკიდებლათ მოქმედებენ და მთელი მათი საქმიანობა ნაციონალისტური პარტიების ინტერესების გარშემო ტრიალებს. მთლიან სახელმწიფოში, მთლიან პოლიტიკურ და ეკონომიურ ერთეულში გაჩნდენ მრავალი დამოუკიდებელი „საზოგადოებრივი" ორგანოები და მთელი მხარე წვრილ-წვრილ კომუნებათ დაიყო. ასეთი ურთიერთობა კი არსებითად ეწინაალმდეგება ამიერ-კავკასიის მთლიანობას და მის გაერთიანებულ მოქმედებას.

თავის-თავად საგულისხმოა ასეთ პირობებში ერთობ ძნელია რევოლიუციონური წესის დამყარება, რევოლიუციის მიერ წამოყენებულ ძირითადი ცვლილების მოხდენა, მიწისა და ზავის საკითხის გადაწყვეტა. ზევით დასახელებული ნაციონალური ორგანოები სეიმში გადაწყვეტილ კანონების ცხოვრებაში გატარებას ხელს უშლიან. ვერც ერთ უფლებრივ სახელმწიფოში ვერ შეხვდებით ასეთ არა ნორმალურ მოქმედებას. ვერსად შეხვდებით, რომ ცენტრალური ორგანო თუ მთავრობა საზოგადოებრივ კანონს თუ განკარგულებას სცემდეს და იგი სავალდებულო არ იყოს ყველა ორგანოებისათვის. თანამედროვე ურთიერთობა, თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრება ამას ვერ აიტანს და სახელმწიფოში სახელმწიფოების გაჩენა საერთო საქმეს დაანგრევს. დიახ ვიმეორებთ, ნაციონალური საბჭოების დამოუკიდებელი მოქმედება და ნაციონალისტური პარტიების შოვინისტური საქმიანობა ამიერ-კავკასიის მთლიანობას დიდ საფრთხეს უმზადებს და საერთო მთავრობას ძირს უთხრის.

მდგომარეობა საშიშია და იგი მეტის მეტათ საბედისწერო სახეს ღებულობს. ასეთი მდგომარეობა კი კანსაკუთრებით დღესაა, როცა ჩვენს რევოლიუციას გარეშე მტრიდან საფრთხე მოელის. სწორეთ ახლა გვმართებს გაერთიანება, სწორეთ ახლაა საჭირო შეიქმნას ძლიერი საყოველთაო დემოკრატიული მთავრობა, რომლის განკარგულებას ყველა საზოგადოებრივი ორგანოები დაემორჩილება. უპირველეს ყოვლისა საჭიროა შეიარაღებული ძალების საერთო მთავრობისადმი დამორჩილება და საერთო ინტერესების მიხედვით მოქმედება. თუ პოლიტიკურსა და ეკონომიურ ცხოვრებაში საჭიროა გაერთიანება, მით უფრო საჭიროა იგი სტრატეგიაში და საერთო ფრონტის დაცვის საქმეში. როგორ შეიძლება ბათუმის დაცვა თუ ჩვენ უზრუნველყოფილი არ ვიქნებით ყარს-არტაანიდან და აქედან მტრის შემოსევა არ იქნება შეჩერებული. ჩვენ მთლიან ამიერ-კავკასიის ფრონტს ვიცავთ და მაშასადამე მისი დამცველი ჯარებიც ერთ ცენტრალურ ორგანოს და ცენტრიდან გაცემულ ბრძანებას უნდა ემორჩილებოდეს.

მაგრამ საქმით სულ სხვას ვხედავთ. ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა ერთი ნაწილი ბათუმისაკენ მიილტვის და მეორე კი ყარს-არტაანისაკენ. მთლიანი სტრატეგიული ფრონტი, მთლიანი თავდაცვის საქმე ნაწილებათ იყოფა, ხოლო სამხედრო ძალები ფაქტიურათ სხვადასხვა ნაციონალურ საბჭოების განკარგულებას ემორჩილებიან. ამან დაღუპა რუსეთის დასავლეთი ფრონტი და ეს გარემოება მოგვიღებს ბოლოს ჩვენც, თუ ახლავე არ გამოვასწორეთ ეს შეცდომა. მით უმეტეს, რომ აქ საზოგადოებრივი კლასების ერთი ნაწილი, ნაციონალური პარტიების ხელმძღვანელები სხვადასხვა მისწრაფებით არიან გამსჭვალული. საერთო თავდაცვის საქმემ ვიწრო პარტიული და ნაციონალური ხასიათი მიიღო და იგი დიდი საფრთხის წინაშე სდგას.

სწორეთ ახლა არის საჭირო ამიერ-კავკასიის მთავარობამ მთელი ძალა-უფლები ხელში აიღოს, იგი რევოლიუციონურ ორგანოების დახმარებით ავტორიტეტულ ძალათ გადაიქცეს და შინ და გარეთ მედგარი ბრძოლა აწარმოვოს. ამაში მას მხარს დაუჭერს ამიერ-კავკასიის რევოლიუციონური დემოკრატია. მხოლოდ უკანასკნელია არსებითად დაინტერესებული შესგეს მტკიცე დემოკრატიული ცენტრალური მთავრობა და საერთო დემოკრატიის საქმე აქეთოს. ამიერ-კავკასიის მთავრობა ყველა ერების დემოკრატიას უნდა დაეყრდნოს. ესენი არიან საიმედო ძალები და ამათ მეოხებით შეუძლია მას შინაური და გარეშე მტრის მოგერიება. დემოკრატიის გაერთიანებული ინტერესები ამიერ კავკასიის მთავრობის გაერთიანებულ მოქმედებას მოითხოვს და მტკიცე ცენტრალურ მართვა-გამგეობის გაძლიერებას.

## ქართ. ნაც.-დემ. ანარქისტების როლში.

სეიმის გუშინწინდელ სხდომაზე მიღებულ მიწის კანონს ერთი მნიშვნელოვანი მუხლი აქვს დართული: ვინც ამ კანონის ცხოვრებაში გატარებას ხელს შეუშლის, ვინც თავის მოქმედე-

ბით მიწების ჩამორთმევის საქმეს დააბრკოლებს, ის სასტიკათ იქნება დასჯილი.

ეს კანონი უკვე ძალაში შევიდა და ამიერ-კავკასიის ყველა მოქალაქე ვალდებულია მის წინაშე ქედი მოიხაროს.

დიდი რევოლიუციის პირველ დღეებიდანვე ჩვენში ერთმა შეუსაბამო შეხედულებამ გაიდგა ფესვი: რაკი რევოლიუციონური ორგანიზაციები უმთავრესათ ზნეობრივ გავლენას მიმართავდენ, ბევრი უპასუხისმგებლო პირები და ჯგუფები იმ აზრს დაადგენ, რომ მათ ხელფეხი გახსნილი აქვთ და როგორც მოეპრიანებათ, ისე იმოქმედებენ. ასეთის მოქმედების ნაყოფი ჩვენმა დემოკრატიამ უკვე იგემა და იმ დროს, როცა ჩვენი ყურადღება სავსებით გარეშე მტრის მოგერიებისათვის უნდა მიგვექცია, ჩვენ შინაურ არეულობების ჩაქრობას ვუნდებით.

როცა უწესოებას ახდენენ ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები, ეს ჩვენ იმდენათ არ გვაკვირვებს, რადგან სამი წლის განმავლობაში სანგრებში ჯდომამ ეს ხალხი კერას მოსწყვიტა და ცხოვრებაზე სწორ შეხედულებას მოაშორა, მაგრამ დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ შინ დაბრუნების შემდეგ ეს ჯარისკაცები უკვე თავს ახწევენ ბალშევიკურ-ანარქისტულ აზროვნებას და მშვიდობიან ცხოვრებას უბრუნდებიან.

სწორედ ამ დროს გამოდის ნაციონალ-დემოკრატების გაზეთი „საქართველო“ და ცხოვრების არევ-დარევას ქადაგობს, ანარქიის გაძლიერებას ეტრფის.

რა მოხდა?

როცა ანარქისტები ან მათი მონათესავე ბალშევიკები ქადაგობენ ანარქიას, ეს ზნეობრივის მხრით კიდევ დასაშვებია, რადგან ბალშევიკებს და ანარქისტებს სწამთ, რომ ცხოვრების არევ-დარევით მშრომელ ხალხის საქმეს ემსახურებიან.

რა სურთ ნაციონალ-დემოკრატებს და მათ გაზეთს „საქართველო“-ს? ესენი ხომ „დინჯი“ ხალხია, კანონიერების ნიადაგზე დგანან. მიწის საკითხში ხომ აშკარად ვიცით მათი შეხედულება: ისინი წინააღმდეგი არიან, რომ მიწა უფასოთ ჩამოერთვას თავად-აზნაურობას. ეს მათ არა ერთხელ უთქვამთ. ერთად ერთმა მათმა დეპუტატმა გვაზავამ სეიმში საქვეყნოდ განაცხადა, რომ მიწების უფასოთ ჩამორთმევა უსამართლობაა და ის ასეთ ჩამორმევას წინ აღუდგება.

სეიმმა კი სულ წინააღმდეგი დაადგინა. მან ერთხმად აღიარა პრინციპი მიწების უსასყიდლოთ ჩამორთმევისა.

ნაციონალ-დემოკრატებს ძალა არ შესწევთ დემოკრატიის ნება-სურვილებს აშკარათ ებრძოლონ, ამიტომ ისინი ნაცად საშუალებას მიმართვენ. ეს არის პროვოკაცია.

„საქართველო“-ს ხელმძღვანელები დარწმუნებული არიან, რომ ხალხში არევ-დარევის შეტანა ბრძოლის საუკეთესო საშუალებაა, ამ გზით ფიქრობენ ისინი დემოკრატიის საქმის დაღუპვას. გარედან ოსმალეთი მოგვდგომია და გასრესას გვიქადის. მისი მოგერიება რევოლიუციის დაცვას ნიშნავს, თუ ოსმალეთი შემოვიდა ჩვენი მიწის კანონი ჰაერში გამოეკიდება. ამიტომ ჩვენ ვცდილობთ საზავო მოლაპარაკება ვაწარმოვოთ და ზავის საქმე იარაღით დავიცვათ. „საქართველო“ კი ცდილობს ხალხს გული აუცრუოს. ყველა ამაზე ის სწერს: „აქამომდე ყველა რეფორმები შეფერხებული იყო უმთავრესად შინაური შეუძლებლობის მიზეზებით. სოციალისტურ მთავრობას არ ეხერხებოდა იმ გზით ევლო, რა გზითაც ეს პოლიტიკური ცვლილებები მოუხდენიათ ყველგან და ყოველთვის... ამ ბუნებრივ უხერხულობას ეხლა ზავის მოლოდინიც დაემატა. ყველა უწყებები და ყველა დაწესებულებები აკაკი ჩხენკელის დელეგაციამ თითქოს უმძიმესი ტვირთიდან გაანთავისუფლა. ეხლა ყველა მის შედეგებს ელოდება—ჯერ ვნახოთ რას გვეტყვის საზავო მოლაპარაკებაო“.

„საქართველო“, რომ სიმართლეს არ ამბობს, ეს ყველასათვის ცხადია: ჩვენ ვაწარმოებთ საზავო მოლაპარაკებას, ამასთან ერთად ზავის მოსაახლოებლათ ხალხს ვაიარაღებთ და იმავე დროს უდიდეს რეფორმებს ვანხორციელებთ. ასეთია პირველ ყოვლისა სეიმის მიერ მიღებული მიწის კანონი.

„საქართველოს“ ეს არ მოსწონს. ის სიჩქარეს ქადაგობს, წარმოუდგენელ მოუთმენლობას იჩენს. განსაცვიფრებელია: „მემამულეების გაზეთი „ვოზროჟდენიე“ მენშევიკებზე მეტს თემარცხენეობას კვეხულობს, ხოლო „საქართველო“ რეფორმების დაგვიანებას გვიკიჟინებს. ბებელმა სთქვა: ხალხის გულისთვის ეშმაკის ბებიას დავუმეგობრდებიო. „საქართველო“ ხალხის საწინააღმდეგოთ ანარქისტებს უმეგობრდება. ის უქადაქებს ბნელ ელემენტებს: „სჯობდა ისევ საკითხის გადაჭრა თვით სტიქიურ განვითარებისთვის მიგვენდო. ყიდვა-გასყიდვით თუ წართმევა-დაპატრონებით აქამდე უკვე დასრულდებოდა ეს მიწის რეფორმა.

„ჭეშმარიტათ უმჯობესია ამ საქმეს კანონმდებლობისა და სახელმწიფოებრივი რეფორმის ეტიკეტი მოვაშოროთ და დროზე მივანდოთ ისტორიას.

„ხალხი ჯერ კიდევ მოლოდინშია და მას ჰგონია, რომ მას ყოველგან არაჩვეულებრივი რამე ბედნიერებას უმზადებენ, როცა ის მიხვდება, რომ მისი ხელმძღვანელები ვერაფერს მას ხელშესახებს ვერ აძლევენ და მხოლოდ დაპირებით ჰკვებავენ, ის იძულებული იქნება თავისი ძალ-ღონით მოჰკიდოს ხელი მართვის გამგეობის მოწობას, წესრიგის აღდგენას და სამართლისა და კანონის დამყარებას“.

ხომ გესმის, მკითხველო, რას გიქადაგებს გაზეთი „საქართველო“: მოიშორეთ კანონმდებლობისა და სახელმწიფოებრივ რეფორმების ეტიკეტი და მიენდეთ სტიქიონს, უარყავით მეთაურები და ხალხმა თავისი ძალღონით მოჰკიდოს ხელი მართვა-გამგეობის მოწყობას. „საქართველო“ ამართლებს იმას, რაც თელავში, დუშეთში, ქუთაისში, გორში და ლეჩხუმში მოხდა. „საქართველო“ ქადაგობს თვითნებობას და არევ დარევას, დემოკრატიული მთავრობისადმი ურჩობას, რევოლიუციონურ ორგანიზაციების დანგრევას. სეიმში გვაზავამ მოურცხვათ იკითხა, როდის გადადგება მუშათა და გლეხთა საბჭოების ცენტრიო. გვაზავას მომხრეები დღეს იმდენათ გათავხედებულან, რომ თვით სეიმის წინააღმდეგ ამხედრებენ ბრბოს და თუ გვაზავას განცხადებას მხოლოდ სიცილით შეხვდა დემოკრატია, დღეს შეუძლებელია „საქართველო“-ს ქადაგებასაც ასე მოვეპყრათ. სეიმი არ არის მარტო რევოლიუციონურ დემოკრატიის კრებული. ის მთელი ხალხის მიერ საყოველთაო ხმის მიცემით არის არჩეული და ვინც მის დადგენილებებს ეწინააღმდეგება, ის მთელი ხალხის მტერია.

ნაციონალ-დემოკრატებმა უნდა შეიგნონ, რომ ამ საერთო უბედურების დროს, როცა რევოლიუციას და ხალხის ფიზიკურ არსებობასაც კი საშინელი საფრთხე მოელის, შეუწყნარებელია არევ-დარევის ქადაგება და დემოკრატიულ მთავრობის წინააღმდეგ მოწოდებების გავრცელება. მაგრამ მგლის თავზე სახარების კითხვა დიდ ნაყოფს ვერ მოგვიტანს.

დღეს რევოლიუციონური ხანაა. დემოკრატია ვალდებულია ყველა თავის მტრებს შესაფერი ადგილი მიუჩინოს.

## რადიო-დეპეშები

**სევასტოპოლის** რადიო-სადგური შემდეგს იუწყება:

ნემცები ყირიმის ნახევარ კუნძულზე გადმოვიდენ. სევასტოპოლის ფლოტის მდგომარეობა კრიტიკულია.

გუშინ მოვიდა დეპეშა ნემცების მიერ ოჩაკოვის აღების შესახებ.

**სარიყამიშიდან:** ოსმალთა ჯარები სარიყამიშიდან 38 ვერსის მანძილზე იმყოფებიან.

სარიყამიშიდან დაიწყო ქონებათა და სახელოსნოების გამოზიდვა.

სად. კამარლიუსთან შესწყდა ტელეგრაფის მუშაობა. მილიონობით ღირებული ქონება იღუპება. გამვლელი ჯარისკაცები იტაცებენ ყველაფერს. მდგომარეობა საძნელოა. ვაგონები არ არის, რომ დროზე შევსძლოთ ქონებათა გამოზიდვა.

## კავკასიის ფრონტი

6 მარტს საღამოთი ოსმალთა მოწინავე რაზმებმა დაიკავეს კარაურგანი. ჩვენმა ჯარმა უკან დახევის დროს ეს ქალაქი დასწვა.

## დეპეშა

ამიერ კავკასიის მთავრობამ გუშინ, 8 მარტს შემდეგი დეპეშები მიიღო:

**ახალციხე.** 7 მარტი. მეორე დღეა ბრძოლა სწარმოებს. სომხების და ქართველების სოფლებს თათრებმა ალყა შემოარტყეს. ორივე მხრიდან განუწყვეტელი სროლაა. აწყურიდან ტყვეთ წაყვანილი სომეხი ჯარისკაცები ჯერ არ განუთავისუფლებიათ.

**აწყური.** 7 მარტი. ახალციხის მაზრის მუსულმანთა კომიტეტის თავმჯდომარე მუსტაკოვი იტყობინება: „ახალციხის ქალაქის თავის ცნობით ამ დღეებში ბორჯომიდან ახალციხეში წავა რამდენიმე ათასი ჯარისკაცი იქ მომხდარ ამბების გამო. შარა გზაზე რამდენიმე ათასი შეიარაღებული თათარი სდგას, მთელი მაზრა ფეხზე დადგა. უკეთუ ჯარი წავიდა, შეტაკება აუცილებელია. გთხოვთ მიიღოთ სასწრაფო ზომები და შეაჩეროთ ჯარის წასვლა, სანამ თათრები არ დამშვიდდებიან. თანდათან მშვიდობიანობა მყარდება.

**ბაშკიჩეთი.** დიდ ცოდვას ჩაიდენთ, თუ ბაშკიჩეთს უყურადღებოთ დასტოვებთ. თრიალეთის რაიონში სრული ანარქიაა. საჭიროა შეიარაღებული ძალა.

აჯალოვი.

**ქუთაისი.** შორაპნის მაზრაში მობილიზაციის საქმე კარგათ მიდის. ბევრი უარს ამბობს შეღავათზე, მცხოვრებნი თვით აძლევენ თვალ-ყურს საქმის მსვლელობას და ვინც უარს ამბობს ჯარში წასვლაზე, მათ სამარცხვინო ბოძზე აკრავს ხალხი.

**შარაშიძე, ჭუმბურიძე.**

**სოხუმი,** 5 მარტი. ქართული სამხედრო კავშირის მიერ გაიმართა დიდი მიტინგი და მანიფესტაცია. მიტინგს აუარებელი ხალხი დაესწრო. ილაპარაკეს გლეხთა საოლქო ყრილობის, ქართულ ეროვნულ საბჭოს, აფხაზების, სომხების პოლონელების სახალხო საბჭოების და ყველა პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლებმა. სასწრაფოთ სდგება პარტიზანული რაზმი, რომელიც ფრონტზე წავა. გადაწყვეტილია უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლონ.

თავმჯდომარე პორუჩიკი **ცომაია.**

მდივანი პორუჩიკი **კინწურაშვილი.**

## ამიერ-კავკასიის ამბები

**ყარსის ოლქში.** 5 მარტს ყარსის ოლქის კომისარმა დზამოევმა შემდეგი აცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს კომისარის ამხანაგს კანტემიროვს:

არდაგანიდან ცნობა გვაქვს, რომ ქრისტიან მცხოვრებლებს თათრებმა იარაღი აჰყარეს, ასევე მოექცენ აქ მყოფ ჯარის ნაწილს. ოლთიდან და მარდენეკიდან არავითარი ცნობა არ გვაქვს, რადგანაც ტელეგრაფი არ მუშაობს და გზები შეკრულია. სარაყამიშში მშვიდობიანობაა, იქ გადმოხვეწილთა რიცხვი ყოველ დღე მატულობს. უნდა აღვიარო, რომ რაც თქვენი დანიშნული სამხედრო კომისარი არზუმანოვი ჩამოვიდა, და ახალი კომენდატი დანიშნეთ, მე საქმეებს ჩამოვშორდი და არ ვიცი დაწვრილებით რა ხდება ოლქში. ვიტყვი მხოლოდ, რომ თერთმეტი თვის განმავლობაში მოგვარებული საქმე, ოლქის და მცხოვრებთა სასარგებლოთ, ვიღაც ბოროტ-გამზრახველთა მოქმედებით იშლება. რაზმი, რომელიც კომენდატმა გაგზავნა ყაჩაღთა ბრბოს წინააღმდეგ, გარშემორტყმულ იქნა ქურთების მიერ. რაზმის უფროსი იძულებული იყო დაეწყო ბრძოლა და დაენგრია ორი სოფელი. გუშინ კომენდატმა ბრძანება გასცა რაზმი ყარსში დაბრუნებულიყო. რაზმი დაბრუნდა სოფ. პროხლადნიაში. რაზმს თავს დაესხენ ქურთები, რომელთაც აიკლეს აგრეთვე სომხის სოფელი ორთაკილისი. რაზმი გაიშურა სოფ. ორთაკილის მცხოვრებთა საშველათ, მათ თურქები ხელმეორეთ დაეცენ. არდაგანში ქრისტიან მცხოვრებთა მდგომარეობა აუტანელია, რადგანაც მათ იარაღი აყარეს. წესიერების აღდგენას ხელს უშლის მუსულმანთა წარმომადგენლების სადღაც გამგზავრება, ურომლისოდაც ძნელია მოლაპარაკების გამართვა.

## ბათუმის ამბები

ბათუმიდან დაბრუნდა ნოე ჟორდანია, რომელმაც იქაურ მდგომარეობის შესახებ შემდეგი გვიამბო:

ბათუმში გაცხარებული მუშაობაა ქალაქის გამაგრებისა და ოლქის დაცვის შესახებ. ქალაქში მრავლათ მოდიან ახლათ გაწვეულნი ჯარში და მოხალისენი. განსაკუთრებით ბლომათ მოდის ხალხი ოზურგეთის მაზრიდან.

ჯარში დისციპლინა თანდათან მტკიცე საფუძველზე ეწყობა. ზოგიერთმა როტებმა განაჩენი გამოიტანეს საარმიო კომიტეტების დაარსების წინააღმდეგ.

ბათუმი სამხედრო ბანაკის შთაბეჭდილებას ახდენს. ქუჩაში დადის ჯარის ნაწილები—ქვეითი, ცხენოსანი, არტილერია. სწარმოებს გაწვრთნა.

ამ დღეებში ბათუმში, ჯარში საყოველთაო გასვლის ბრძანება გამოიცემა. ვინც ამ ბრძანებას არ დაემორჩილება, წინადადებას მისცემენ დატოვოს ქალაქი.

ყველა მცხოვრებნი, როგორც მუშა ისე ვაჭარი და სხ. თავდაცვისათვის ემზადება. ვაჭრებმა თავდაცვის საქმისთვის დიდძალი ფული შეაგროვეს.

რევოლიუციონური ორგანიზაციების თანხმობით ბათუმის მახლობელ რაიონში—ქობულეთამდე საალყო წესები გამოცხადდა. ყველა დაწესებულებებს წინადადება მიეცათ ორი დღის განმავლობაში დასტოვონ ქალაქი და თავიანთი ქონება გაზიდონ.

რაც კი დაცვისათვის გამოსადეგია, ორგანიზაციები ბათუმში სტოვებენ, როცა მიდიან იქიდან.

ამ სამი დღის წინათ ევაკუაციის ვადა გათავდა. „ზემგორის“ და ეროვის კავშირის მოსამსახურენი წავიდენ.

მთელი ოლქის კომენდანტათ ჯერჯერობით დაინიშნა ბათუმის ციხის შტაბის უფროსი გენერალი მდივანი, რომელიც კარგათ იცნობს ბათუმის გამაგრებულ ადგილებს.

უკეთუ სერიოზული სამხედრო მოქმედება გაჩაღდა, გადაწყვეტილია ამ ადგილზე დაინიშნოს გენ. ლიახოვი, რომელიც გამოცდილი მებრძოლი კომანდირია. რევოლიუციონური ორგანიზაციები ამაზე დასთანხმდენ, ვინაიდან გარეშე საფრთხე დიდია.

ბათუმის ფლოტის ხელში ჩაგდების და მატროსების დატყვევების შესახებ ნ. ჟორდანიამ სთქვა:

ბათუმის ნავთ-სადგურში მყოფმა მატროსებმა შეადგინეს დამოუკიდებელი კომიტეტი, რომელიც არავითარ მთავრობას არ სცნობდა და თვით მატროსებიც ქალაქში უწესოებას ახდენდენ.

მათ გადაჭრით უარი სთქვეს ქალაქის დაცვაში მონაწილეობის მიღებაზე და გემების ჩრდილოეთისკენ წაყვანა სცადეს. მაშინ ბათუმის რევოლიუციონური ორგანიზაციების შეერთებულ სხდომაზე გადასწყდა ფლოტის ხელში ჩაგდება, რაც კიდეც ეცნობა ციხის კომენდანტს.

ნაშვალამევის 2 საათზე ქალაქიდან გამოწვეულ იქნენ წითელგვარდიელები და რეგულიარული ჯარისკაცები. მათ დაიკავეს ზღვის ნაპირები და ავიდენ კრეისერ „კარლზე“.

პირველად საზღვაო ბრძოლა დაიწყეს ლეიტენანტ ქავქავაძემ, თფილისიდან ბათუმში წითელი გვარდიის ხელმძღვანელად გაგზავნილმა ალ. დგებუაძემ და შტაბს-კაპიტანმა ცაგარელმა (ს.-დ.).

დარაჯმა მოასწრო მათ რევოლვერის გასროლა და მოჰკლა შტაბს-კაპიტანი ცაგარელი, მაგრამ ამის შემდეგ სხვა დარაჯებს მსწრაფლ აჰყარეს იარაღი და ზარბაზნებიც ხელთ იგდეს. კრეისერის „კაიუტებში“ მყოფ მატროსებს წინადადება მიეცა დანებებოდენ.

მატროსები თავიდან ფეხამდე იყვენ შეიარაღებულნი—ყუმბარებით, ტყვიისმფრქვევლებით, მაუზერებით და ვინტოვკებით, მაგრამ მათ ქვევიდან ველარ შესძლეს წინააღმდეგობის გაწევა და თითოეულად იწყეს დამორჩილება.

ასევე დამთავრდა იარაღის აყრა და მატროსების დატყვევება სხვა სამხედრო გემებზედაც. სულ დატყვევებულ იქნა 300 მატროსი.

სავაჭრო ფლოტის მატროსებისთვის ხელი არ უხლიათ. ერთმა ნაღმოსანმა მოასწრო გაქცევა, მაგრამ ვინაიდან მას სათბობი მასალა არ მოეპოვება, ბათუმის ნავთსადგურს დიდის მანძილით ვერ გაშორდება.

ბათუმში მყოფი საზღვაო ფლოტი ამ სახით კავკასიის ჯარების განკარგულებაშია. შეუდგენ „კომანდის“ შედგენას.

დატყვევებულთაგან 75 მატროსი განთავისუფლებულ იქნენ, რომლებიც სამსახურს განაგრძობენ. დანარჩენი ტუაპსით გაიგზავნენ სამშობლოში.

ქალაქში დააპატიმრეს რამდენიმე ვითომ ბალშევიკი ორატორები, რომლებიც მატროსებს ურჩევდენ გემების ნავთ-სადგურიდან გაყვანას.

ბათუმელი პასუხისმგებელი ბალშევიკები, რევოლიუციონური კომიტეტების წევრები იმის მომხრენი იყვენ, რომ ურჩი ფლოტი ხელში ჩაგვეგდო. ისინი მომხრენი არიან ქალაქის და ოლქის დაცვისა გარეშე მტრის შემოსევისაგან. („ბ.“)

ბათუმიდან 8 მარტს თფილისში დეპეშით შემდეგი კერძო ცნობა მოვიდა: დატუსაღებულ მეზღვაურთა შესახებ სევასტოპოლში ცენტროფლოტს შეეკითხენ, როგორ მოქცეოდენ, იქიდან პასუხი მოვიდა: რაკი მოღალატეები არიან, ისე მოექეცით, როგორც მოღალატეებს ეკუთვნისო. ცენტროფლოტიც აღელვებულა მატროსების მოქმედებით. კრეისერ „კარლზე“ ნახეს ოსმალეთის ორი აფიცერი და ერთი გენერალი. იგინი უკვე ემზადებოდენ ოსმალეთში წასასვლელათ ამ გემით, როგორც საკუთარით. იქვე აღმოაჩინეს დიდძალი ფული—ხუთ მილიონამდე, ამათგან 25,000 ოქროს ფულია, აგრეთვე მრავალი იარაღი. მეზღვაურები რამდენიმე დღე დატუსაღებულები ჰყავდათ და ეხლა თავიანთ სახლებში გაგზავნეს ზღვით.

სამხედრო და საზღვაო სამინისტროს საქმეთა კომისარმა ვლ. გობეჩიამ შემდეგი ბრძანება გამოსცა:

„ბათუმის ციხის წითელ გვარდიელნო, ჯარისკაცებო და ოფიცრებო!

ესაა ეხლა შევიტყვე თქვენი საქმენი საგმირონი. შევიტყვე, რომ თქვენ იარაღი აჰყარეთ მეამბოხე გემებს და აჯანყებულები დაატუსაღეთ. ამ ამბავმა უსაზღვრო სიხარული მოგვფინა.

დიდება თქვენდა! თქვენ ბოლო მოუღეთ დიდ საშინელებას და სირცხვილს. მეზღვაურთა ერთი ნაწილი, ეს „იდეურ“ ხელმძღვანელთა ქადაგით გამოტვინებული ბრბო შიშის ზარს სცემდა მთელ შავზღვის სანაპიროებს!

მათ დახვრიტეს თავიანთი ოფიცრები და ცარცვა-გლეჯას და ძალადობას მიჰყვეს ხელი.

მათში ჩაკლული იყო ყოველივე ადამიანური გრძნობები და გამხეცებულები იქამდის მივიდნენ; რომ ჯავშნოსან „მეფე კარლოსის“ კომანდამ გემის საკვაბეში დასწვეს ოფიცერი ემუხვარი. პატივის და სინდის დაკარგულებმა განიზრახეს სამხედრო გემების მტრებზე გაყიდვა.

თქვენმა სიმხნევემ და სიმამაცემ და ვაჟკაცობამ საუკუნოებს ჩააბარა ძველი მეფის ლაშქარი, რომელიც სამხედრო დისციპლინის ბასრ ბრჭყალებში იზრდებოდა თვითმპყრობელის და მის მოახლეთა სამოსამსახუროდ. თქვენ, ბათუმის ციხის წითელ-გვარდიელებო და ჯარისკაცებო, თქვენის მოქმედებით დაგვიმტკიცეთ, რომ შესაძლოა სასწაულის მოხდენა, თუ ლაშქარს ღრმადა აქვს სამშობლოსა და რევოლიუციის წინაშე თავის მოვალეობის შეგნება. თქვენი მოვალეობის შეგნება დიდ უფსკრულს სთხრის თქვენსა და ყოფილ მეფის მონის მხედართა შორის. თავისუფალი ჯარის კაცი მოქალაქე რევოლუციის მტკიცე დასაყრდნობელი უნდა შეიქმნეს. თქვენ ვინც მჭიდრო კავშირს ჰგრძნობთ მცხოვრებლებთან, საფუძველი ჩაუყარეთ ახალ სახალხო უფლებას და წესწყობილებას.

თქვენ თავგანწირულნო მებრძოლნო, რომელთაც თქვენი მხრებით გაიტანეთ მძიმე შრომა, ამიერ-კავკასიის მთავრობის სახელით მოგიძღვნით მადლობას.

სამშობლო არ დაივიწყებს მძიმე წუთებში თქვენ მიერ აღმოჩენილ სიკეთეს“.

## ახალი ამბები

**მილიციის უფროსის** განკარგულებით რამდენიმე უმცროსი მილიციონერი დაითხოვეს სამსახურიდან, რომელნიც სინდისიერათ არ ასრულებდენ თავიანთ მოვალეობას.

✦ **კომისარიატს სთხოვენ** სარაყამისში გაგზავნოს 10 ცარიელი ვაგონი იქ დარჩენილ რუს მოხელეების წამოსაყვანათ.

✦ **თავდაცვის შტაბის** განკარგულებით ქუჩაში სროლისათვის ორი თვით ციხე მიუსაჯეს პორუჩიკ ნოვოვს. ამავე დანაშაულობისათვის, 218 პოლკის ჯარისკაცს გორბუნოვს 1 თვით ციხე მიუსაჯეს.

✦ **შანტაჟისტის მოკვლა.** 7 მარტს ვაჭარ ივანე ძევველიშვილთან მივიდა პატარა ბიჭი და გადასცა წერილი. წერილის ავტორი 30,000 მანეთს სთხოვდა ძევველიშვილს და ფული ბიჭის ხელით გამომიგზავნეო. ბიჭს კონვერტში ჩაუწყვეს ქაღალდები და გაატანეს. როგორც სისხლის სამართლის მილიციონერების მიერ შემჩნეულ იქნა, ბიჭმა კონვერტი ერთ საეჭვო, წინათვე შემჩნეულ პირს—ტერ-ზახაროვს—გადასცა. მილიციონერებმა მოინდომეს მისი შეპყრობა, მაგრამ მან გაქცევა დააპირა და ის იქვე მოჰკლეს.

✦ **სასტუმროების მოსამსახურეთა** გაფიცვა დასრულდა. სამედიატორო სასამართლოს დადგენილებით იმ მოსამსახურეებს, რომელთა ჯამაგირი არ აღემატებოდა ორმოც მანეთს, სამოცი პროც. მოემატებათ. ვინც ორმოციდან ას მანეთამდე იღებდა—30 პროც. მოემატება.

✦ **ფქვილის განაწილება.** ქალაქის გამგეობა სთხოვს სასურსათო კომიტეტს თანაბრად გაანაწილოს ყველა რაიონში ხორბლის ფქვილი სიმინდის და ქერის ფქვილში გასარევათ, რათა ერთი ღირსების პური ცხვებოდეს ყველგან.

✦ **თოფების აღმოჩენა.** აღმასრულებელი კომიტეტის რაზმმა ოლღის ქუჩ დუქნების გაჩხრეკის დროს ოცდა ათი თოფი აღმოაჩინა.

✦ **აბანოებში მომუშავეთა** პროფესიონალური საბჭოთა დადგენილებით ხვალ, 9 მარტს მუსულმანთა დღესასწაულის გამო აბანოები დაკეტილი იქნება.

✦ **სიღნაღის მაზრაში** ახალგაზრდათა ჯარში გაწვევა მოხდება 9 მარტს.

✦ **სომეხთა ნაციონალურ საბჭოს** განკარგულებით ჯარისკაცებმა ამ დღეებში ორასამდე სომეხი დეზერტირები შეიპყრეს.

✦ **ზუგდიდის ქალაქის საბჭო** იუწყება, რომ საბჭოს 26 თებერვალს დადგენილების თანახმად ზუგდიდიდან გაემგზავრა საგანგებო დელეგაცია ქალ. სოხუმში აფხაზების და მეგრელების მოსარიგებლათო.

✦ **ფოსტის გადატანა** თფილისიდან კავკავამდე საქართველოს სამხედრო გზით ავტომობილით ქალაქთა კავშირის წინადადებით მოაწყო ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველომ.

✦ **ტრაპიზონიდან** ჩამოვიდა ქალაქთა კავშირის ტრაპიზონის განყოფილების თავმჯდომარე ი. ა. გოგოლაშვილი, რომელიც ამ ჟამად საზავო დელეგაციის სეკრეტარიატის წევრია. ი. გოგოლაშვილმა ინახულა ამიერ-კავკასიის მთავრობის თავჯდომარე ევ. გეგეჭკორი და ესაუბრა ტრაპიზონის მდგომარეობის შესახებ.

✦ **მეორე საგანგებო** ქართული საპიონერო როტაში ჩარიცხვა გრძელდება, რომელიც მოთავსებულია ველიკოკნიაჟ. ქუჩაზე № 26.

### კრებები და მიტინგები.

10 მარტს დღის 1 საათზე საოლქო კომიტეტის ბინაზე, გოლოვ. № 12, დანიშნულია სხდომა საოლქო კომიტეტისა. ამხანაგებს ვთხოვთ სხდომას დაესწრონ უკლებლივ.

— დღეს, 9 მარტს 5 საათზე სასახლის თეთრ დარბაზში დანიშნულია მუშათა ცენტრის კრება, ამავე დარბაზში საღამოს 7 საათზე შესდგება ამიერ-კავკასიის მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოების შეერთებული კრება.

— დღეს, 9 მარტს სახალხო უნივერსიტეტში ლ. იშკოვი იწყებს ლექციების კითხვას—„ინგლისის სოციალური ისტორია მე-19 საუკუნეში“.

— დღეს, 9 მარტს საღამოს 6 საათზე გაზ. „ბრძოლის“ კანტორაში დანიშნულია საგამომცემლო კომისიის კრება. ამხანაგებს სთხოვენ აუცილებლივ დაესწრონ კრებას.

## ამიერ-კავკასიის სეიმი

(7 მარტის სხდომა).

თავმჯდომარეობს **კ. ჩხეიძე.**

რუსულ კორპუსის უფროსის განცხადება ყოფილ ჯარისკაცების 32 წლამდე მობილიზაციის შესახებ გადაეცა სამხედრო კომისიას.

განსახილველია აგრარულ კომისიის მიერ წარმოდგენილი კანონ-პროექტი მიწის საკითხის შესახებ. „მუსავატი“-ს წარმომადგენელი მოითხოვს კანონ-პროექტის განხილვის გადადებას, ჯერ ფრაქციებს არ გაგვირჩევია იგიო. ა. კანტემიროვი (მუს. სოციალ. ბლოკი). უერთდება ამ წინადადებას.

**ნოე ხომერიკი** აღნიშნავს, თუ რამდენათ საშურია დღეს მცხოვრებთათვის მიწის საკითხის გადაჭრა და მოითხოვს კანონ-პროექტის დღესვე განხილვას.

მიღებულ იქნა ნ. ხომერიკის წინადადება. „მუსავატმა“ წინააღმდეგ მისცა ხმა, „დაშნაკცუთიუნმა“ თავი შეიკავა.

ერთხმათ იქნა მიღებული აგრარული კომისიის დადგენილება ბორჯომის მამულის კონფისკაციის შესახებ.

აგრარულ კომისიის სახელით მიწის საკითხის შესახებ ვრცელ მოხსენებას აკეთებს **ს. პირუმოვი.** (ს.-დ.). მომხსენებელი აღნიშნავს, რომ კანონ-პროექტი—ეს პირველი ნაბიჯია მიწის საკითხის გადასაჭრელათ გადადგმული. დღეს არსებული საადგილ-მამულო ურთიერთობა არ შეეფერება არც ეკონომიურ მდგომარეობას, არც მასსის უფლებრივ შეგნებას. გლეხებისათვის მიწების გადაცემა არის არა მარტო სამართლიანობა, იგი აუცილებელი პირობაა ეკონომიური განვითარებისა. რევოლიუციამ წამოაყენა ეს საკითხი, მაგრამ დღემდის მისი გადაჭრა გადაიდო, ვინაიდან იგი საერთო რუსეთის მასშტაბით უნდა გადაჭრილიყო. მაგრამ არ შესდგა სრულიათ რუსეთის ორგანო, რომელსაც უნდა გადაეჭრა ეს საკითხი და ამიტომ იძულებული შევიქენით ადგილობრივ გადაგვეჭრა ეს საკითხი. 1917 წ. 16 დეკემბერს ამიერ-კავკასიის კომისარიატმა გამოსცა დეკრეტი გლეხებისათვის მიწების გადაცემის შესახებ. ამიერ-კავკასიის სეიმს არ შეეძლო ამ საკითხვისთვის ყურადღება არ მიექცია და პირველი მისი კანონპროექტი არის კანონ-პროექტი მიწის შესახებ. ჩვენს წინაშე დადგა საკითხი, თუ რა საფუძველზე უნდა მოხდეს მიწების ჩამორთმევა. და თანახმად ყველა ფრაქციების დეკლარაციებისა ჩვენ დავადგინეთ მიწების ჩამორთმევა მოხდეს უსასყიდლოთ. ძირითად საკითხს წარმოადგენს საკითხი მიწის ფონდის შესახებ, თუ რამდენი გვექნება თავისუფალი მიწა. 16 დეკემბრის დეკრეტის ძალით ყველა საეკლესიო, სამონასტრო, საუფლისწულო და განსაზღვრულ ნორმაზე ზევით კერძო მესაკუთრეთა მიწები უნდა გადაეცეს გლეხებს. უნდა გამოგვერკვია ზომა მიწისა, რომელიც დარჩებოდა მესაკუთრეებს. ეს ზომა დაახლოვებით უნდა უდრიდეს მიწის იმ რაოდენობას, რომელსაც მისცემენ გლეხებს. მაგრამ იმის გამორკვევა, თუ რამდენი შეხვდებათ მიწა გლეხებს, მეტათ ძნელია. ამიტომ, რაც შეიძლება მეტი უნდა იყოს ნორმა იმ მიწისა, რომელიც რჩება მესაკუთრეებს, თუ ეს ნორმა მეტი აღმოჩნდა, შეიძლება კიდევ მისი შემცირება. ამ ნორმას შეეფერება შრომის ნორმა, ძირითადი ნორმა. ამას აქვს ის უპირატესობაც, რომ სავსებით ეთანხმება დღევანდელ მიწათსარგებლობის ფორმას.

ამიერ-კავკასიის 5 გუბერნიისათვის (ქუთაისის, თფილისის, ერევნის, განჯის და ბაქოს გუბ.) მიღებულ იქნა ნორმა 1910 წ. მიწათმოქმედების სამინისტროს რწმუნებულის მიერ შემუშავებული. ამიერ კავკასია სამ ნაწილათ იყოფოდა: დაბალი, ყველაზე უფრო თფილი ჰავით, ზომიერი და მთების ყველაზე უფრო ცივი ჰავით. მთის ნაწილში აღმოსავლეთ ამიერ კავკასიისთვის ნორმა უდრიდა 4—6 დესეტინამდე; ქუთაისის გუბ.—3—4 დეს. სვანეთისთვის—5—6 დეს. საშუალო (ზომიერ) ნაწილისთვის ნორმა უდრიდა აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიაში 2—4 დეს.; ქუთაისის გუბერნიაში—1 ნახ.—3 დეს.; დაბალ ნაწილისთვის ნორმა უდრიდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში $^3/_4$—2 დეს., ქუთაისის გუბერნიაში—ნახ.—1 ნახ. დეს. თუ თვითეულ ოჯახში ვიანგარიშებთ 6 სულს, მაშინ თვითეულ ოჯახზე მივიღებს მიწის ნორმას: პირველ, დაბალ ნაწილში 36—18 დეს.; მეორე ნაწილში—24—9 დეს.; მესამეში—12—3 დეს.

მეორე პრინციპი, რომლითაც შეგვიძლია ვიხელმძღვანელოთ ხორმის გამორკვევის დროს, ეს მეურნეობის დარგებათ დანაწილებაა, აგრარულ კომისიამ აიღო სამ გვარი მეურნეობა: კულტურული მეურნეობა (ვენახი, ჩაი, ბაღი და სხ.), ხორბლეულობის მეურნეობა და საქონლის მოსაშენებელი მეურნეობა. პირველი დარგის მეურნეობისათვის

ნორმა უდრის 7 დესეტ., მეორე დარგის—15 დეს. და მესამე დარგის—40 დესეტ.

შეიძლებოდა ამ ნორმის კიდევ გადიდება, მაგრამ მიწის ფონდი ჩვენში მეტად განსაზღვრულია. სისწორით გამორკვევა მიწის ფონდის რაოდენობისა დღეს ყოვლად შეუძლებელია. მაგრამ დაახლოვებითი წარმოდგენა მაინც შეგვიძლია ვიქონიოთ არსებულ ციფრების მიხედვით. ავიღოთ ორი გუბერნია. ერთი (განჯის გ.), სადაც ბევრია მიწები და მეორე (ქუთაის გ.), სადაც მიწის დიდი სიმცირეა. განჯის გუბერნიაში მოსახმარი მიწა არის 3 188.337 დეს.; სახელ. ტყე—74.993 დეს.; საძოვარი ადგილები—689.589 დეს.; ამნაირად, თავისუფალ გამოსადეგარ მიწის სივრცე უდრის 1.754.286 დეს.

ქუთაისის გუბერნიაში გამოსადეგარი მიწის სივრცე უდრის 1.297.713 დეს.; ტყეები და საძოვარი—413.972 დეს.; (ტყეებისა და საძოვრების ვალი უდრის 16 ათას მანეთს). რომ ავიღოთ სულ მცირე ნორმა—7 დეს., მაშინაც ქუთაისის გუბ. დააკლდება 200 ათასი დესეტინა მიწა. ქუთაისის გუბერნიაში აუცილებელი იქნება ნაწილობრივი გადასახლება.

ეზო და ეზოს გარშემო მდებარე მიწებიც შედის განსაზღვრულ ნორმაში. ცოტათ უფრო ძნელია საკითხის გადაჭრა, როცა საქმე ეხება ხიზნებსა და ჩამოსახლებულებს.

დასასრულ მომხსენებელი წინადადებას იძლევა არჩეულ იქნას საგანგებო პირები, რომლებიც ხელს შეუწყობენ მიწის რეფორმის ცხოვრებაში გატარებასო და შემდეგ მუხლობრივ არჩევს კანონპროექტს.

**ი. სემიონოვი** (კ.-დ.). მომხსენებელმა აღნიშნა, თითქოს ყველა ფრაქციებს თავის დეკლარაციებში მოეთხოვოთ მიწების უფასოთ ჩამორთმევა. მე ამ საკითხის შესახებ ჩემი აზრი არ გამომითქვამს, ეროვნ.-დემ. ფრაქციის წარმომადგენელი გვაზავა კი წინააღმდეგია მიწების უფასოთ გადაცემის. ჩვენი პარტიის შეხედულებით არ შეიძლება მემამულეებს აუნაზღაურებლათ ჩამოერთვას მიწები. კანონი არავისთვის არ უნდა იყოს სამართლიანობას მოკლებული. მეორე მოსაზრება მდგომარეობს იმაში, რომ მიწების უფასოთ ჩამორთმევა გამოიწვევდა არევ-დარევას სახელმწიფოში თუ მიწის საკითხი საერთო რუსეთის მასშტაბით გადაიჭრებოდა. აქ კი, ამიერ კავკასიაში ამას არა აქვს მნიშვნელობა, აქ მემამულეები არ არიან ისე დავალიანებული. ამიტომ მე არ ვარ წინააღმდეგი მიწების უფასოთ ჩამორთმევის. რაც შეეხება უსამართლობას, არც ამას აქვს აქ ადგილი. მუსულმანების ბეგებმა და მემამულეებმა თვითონ განაცხადეს, რომ თანახმა არიან უსასყიდლოთ გადასცენ მამული გლეხებს. სომხებს შორის კი მემამულეები არ არიან, სამღვდელოების შესახებ კი საკითხი აქ არ დასმულა. რაც შეეხება ქართველ თავად-აზნაურობას, მათი სახელით გვაზავამ განაცხადა, რომ არ სურს გადასცეს მიწები უსასყიდლოთ.

**ი. გობეჩია** (ს.-რ.). კანონპროექტი ბუნდოვანათ არის შედგენილი, მაგრამ იგი მაინც გვაახლოვებს ჩვენ საკითხის ისე გადაჭრას, როგორც ეს ჩვენს პარტიას ესმის. დამფუძნებელ კრებამ მიიღო მიწის სოციალიზაცია. ეს უნდა იყოს აღნიშნული კანონპროექტში. ფედერატიულ რესპუბლიკაში ცალკე ავტონომიებს უნდა გაეტარებიათ ცხოვრებაში დამფუძნებელ კრების დადგენილება და აი, ჩვენ დღეს შეუდექით კიდეც ამ დადგენილების განხორციელებას.

**შახატუნი** (დაშნ.). აგრარულ კომისიის სახელით აცხადებს, რომ კანონპროექტში აზრი ბოლომდე არის გამოთქმული. ჩვენ არ ვსჭრიდით საკითხს მიწათმფლობელობის შესახებ. ჩვენ მხოლოდ ვარკვევდით მიწის ფონდის რაოდენობას. თუ რა ფორმით უნდა გადაექცეს ეს მიწა გლეხებს,—ეს საკითხი ჩვენ ღიათ დავსტოვეთ.

**ა. კანტემიროვი** (მუს. სოც. ბლოკი). ეკითხება კომისიას: რათ არ დასვით საკითხი უფრო ფართოთ. ან უნდა მიგეღოთ დამფუძნებელ კრების დადგენილება, ან თქვენი პრინციპი შეგემუშავებიათ. შემდეგ ორატორი ეხება სემიონოვის სიტყვას და ამბობს, თუ სამართლიანობაზე ვილაპარაკებთ, ეს სამართლიანობა უნდა იყოს გლეხების და არა სხვისი სასარგებლოთ მიმართული. მუსულმანებიც არ იქნებიან მიწის სოციალიზაციის წინააღმდეგი. კერძო საკუთრება ეწინააღმდეგება ყორანს. მუსულმანი მემამულეები დარწმუნებული არიან, რომ ანარქიის მიზეზი მიწის საკითხის გადაუჭრელობაა. ამიტომ ისინი ხელს შეუწყობენ მიწის რეფორმების ცხოვრებაში გატარებასო.

**დ. ონიაშვილი.** აქ ამბობენ, კანონპროექტი არ სჭრის საფუძვლიანად მიწის საკითხსო. აგრარულ კომისიას განსაზღვრული მოვალეობა ჰქონდა დაკისრებული: მას უნდა გამოერკვია მიწის ფონდის რაოდენობა და ეს საქმე მან კიდეც შეასრულა. აქ ამბობენ, მუსულმანები მომხრე არიან მიწის სოციალიზაციისო. ეს არ არის მართალი. გლეხთა ყრილობაზე მუსულმანობამ დაგმო სოციალიზაცია და მიიღო მუნიციპალიზაცია. შემდეგ ორატორი ეხება სემიონოვის სიტყვას და ამბობს, რომელ სამართლიანობაზე ლაპარაკობს სემიონოვი? ნუ თუ მან არ იცის, რომ რაც მისთვის სამართლიანია, იგი სოც.-დემოკრატისთვის უსამართლობაა? ჯერ კიდევ ბერძნები ამბობდენ, კანონი—ეს ხალხის კეთილდღეობააო. და სამწუხაროა, რომ სემიონოვმა ეს ჭეშმარიტება არ იცის მეოცე საუკუნეში. ჩვენთვის ხალხის კეთილდღეობაა კანონი და ამ თვალსაზრისით ვსჭრით ყველა კითხვებს.

**ი. აგამალოვი.** („ჰუმეტი") ამბობს, რომ საქმე ის კი არ არის, თუ პრინციპიალურათ ვინ როგორ სჭრის მიწის საკითხს. საჭიროა ისეთი გზის გამონახვა, რომ რაც შეიძლება დაჩქარებით გადაეცეს მიწა გლეხებს. ასეთ გზას იძლევა სწორედ კანონპროექტი, ამიტომ იგი დღესვე უნდა იქნეს დამტკიცებული.

**მ. ხმირნოვი** (ს.-დ.). სემიონოვმა უარი განაცხადა დაიცვას თავისი პოზიცია, მაგრამ ჩვენ მაინც შევეხებით მის შეხედულებას. მიწის საკითხის გადაჭრის დროს შრომის უფლება და ისტორიული უფლება დაუპირისპირდა ერთი მეორეს. ჩვენ ვსცნობთ ერთ უფლებას (შრომის უფლებას) და არ ვლაპარაკობთ სამართლიანობაზე. ამბობენ, მიწების უფასოთ ჩამორთმევა გამოიწვევს სახელმწიფოს არევ-დარევას. ეს რომ ასე იყოს, ჩვენ არ დავთანხმდებოდით ამას, მაგრამ აქაც ასე დგას საკითხი: თუ თქვენ არ გადასჭრით საკითხს ხალხის სასარგებლოთ, დაიშლება ეკონომიური ცხოვრება და მისი განვითარებაც შეჩერდება. ამიტომ თვით ქვეყნის განვითარება მოითხოვს მიწის საკითხის გადაჭრას გლეხობის სასარგებლოთ. დასასრულ ორატორი ეხება რა გობეჩიას სიტყვას, ამბობს: კანონპროექტში პრინციპებზე კი არ უნდა იყოს ლაპარაკი, აქ კონკრეტიული ნაბიჯები უნდა იყოს აღნიშნულიო.

**რუსტამბეკოვი** („მუს."). ჩვენ მომხრე ვართ მიწების უფასოთ გადაცემის და ტყუილა ცდილობს სემიონოვი თავის პარტიის შეხედულება მოახვიოს თავზე მუსულმან მემამულეებს. აქ არ არიან მემამულეები, მუშები; აქ არიან მხოლოდ ხალხის წარმომადგენლები. ჩვენმა მემამულეებმა თავის ყრილობებზე განაცხადეს, რომ ისინი მზათ არიან გადასცენ მიწები გლეხებს, ოღონდ მშვიდობა დამყარდესო. ჩვენ ხმას მივსცემთ ამ კანონპროექტს და მოვითხოვდით მის წინასწარ ფრაქციების მიერ განხილვას, ეს იმიტომ, რომ ჩვენ შეგვეძლო ზოგიერთი ნაკლის ამოჩენა ფორმალურ ან ცხოვრებაში მისი გატარების შესაძლებლობის მხრით.

**ი. გობეჩია** ამბობს, რომ კანონპროექტს პრინციპი უნდა ედვას საფუძვლათ და საუკეთესო პრინციპი კი ეს მიწის სოციალიზაციააო.

კამათი შეწყდა. სიტყვა ეძლევა მომხსენებელს, რადგანაც ჩვენს კანონპროექტში—ამბობს მომხსენებელი—არ არის ნათქვამი, რომ 16 დეკემბრის დეკრეტი გაუქმებულიაო, ცხადია, იგი რჩება კანონათ. თუ რომელი მუხლია გაუქმებული, ეს არის აღნიშნული კანონპროექტში. შემდეგ მომხსენებელი ეხება სემიონოვის განცხადებას და ამბობს. როცა მე ვსთქვი, ყველა ფრაქციებმა მოითხოვეს მიწის უფასოთ გადაცემაო, სახეში მყავდა გავლენიანი ფრაქციები, თორემ სემიონოვის და გვაზავას ფრაქციები რომ ამას არ მოისურვებდენ, ეს ჩვენ ადრე ვიცოდით, კანონპროექტს კი უდევს პრინციპი საფუძვლათ. ეს პრინციპი—ჩვენი, სოც.-დემ. პრინციპია, რომლის თანახმათ მიწა გადადის საზოგადოებრივ ორგანიზაციების—საადგილ-მამულო კომიტეტების ხელში.

პირადი განცხადებით გამოდის შახატუნი, წევრი აგრარულ კომისიისა. მე გამაკვირვა იმ გარემოებამ,—ამბობს შახატუნი,—რომ მომხსენებელმა აქ განაცხადა კანონ-პროექტს საფუძვლათ უდევს სოც.-დემ. პრინციპიო, კომისიაში განაცხადეს, რომ საადგილ-მამულო კომიტეტები დროებითი ორგანოებიაო. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, ჩვენ მათ არ გადავსცემდით მიწებსო.

შემდეგ შეუდგენ კანონ-პროექტის მუხლობრივ განხილვას. ამხ. მ. არსენიძისა და პ. გელეიშვილის შესწორება—დამატებით კანონ პროექტი ერთხმათ იქნა მიღებული.

დამსწრენი ტაშის ცემით შეხვდენ ამიერ-კავკასიის სეიმის მიერ პირველ კანონის მიღებას.

## შორაპნის მაზრის მოქალაქეთა მიმართ

**ამხანაგებო!** ამიერ-კავკასიის დემოკრატია განსაცდელშია. განსაცდელშია ჩვენი თავისუფლება, განსაცდელშია თვით ჩვენი ფიზიკური არსებობაც.

არამკითხე ბალშევიკებმა ჩვენი სამშობლოს საუკეთესო ნაწილი, ყარს—არდაგან—ბათუმის ოლქები ოსმალეთს მიუძღვნეს. ოსმალეთიც ეყრდნობა მათ ნასყიდობის ბარათს და მოითხოვს ხსენებულ ოლქების დაცლას, მან უკვე გამოგზავნა ჯარი მათ დასაჭერათ.

ამხანაგებო! ჩვენ არ ვართ აღტყინებული ომისა და სისხლის ღვრის სურვილით. პირიქით, ჩვენ გვძულს, გვეზიზღება ადამიანთაგან ადამიანების სისხლის ღვრა, მაგრამ როცა ბალშევიკების მიერ გამხნევებული ოსმალეთის მტარვალი ცდილობს ჩვენ სახლში შემოჭრას, ნუ თუ ჩვენ გულზე ხელდაკრეფილი შევძლებთ ვუცქიროთ თუ როგორ აგვაოხრებენ, როგორ მოსპობენ ჩვენ თავისუფლებას, როგორ შეგვიგინებენ წმინდათა წმინდას? არა და არა!

ჩვენმა მთავრობამ მედგარი ნაბიჯი გადადგა ზავის შესაკრავათ. მან გაუგზავნა დელეგაცია ოსმალეთს და შეუთვალა: შენი არაფერი მინდა, მიირთვი საზღვარს იქით რაც გქონდა, ხოლო ჩემსაში ნუ შემოიჭრებიო, მაგრამ ოსმალეთის ბრბოები მაინც მოდიან ჩვენსკენ და თან მოაქვთ მეფის თვითმპყრობელობა.

შევეგებოთ, ნუ შემოუშვებთ, ამხანაგებო, ურდოებს ჩვენ მიწა-წყალზე.

მათ შესაგებებლათ უკვე ჩავიდენ ბათუმში გურულები, მეგრელები, ქუთათურები, თბილისლებიც. ჯერი ჩვენზეა, შორაპნელებო, წავიდეთ ჩვენც, შევუერთდეთ ჩვენც თავისუფლების დამცველთ.

ჩვენმა მთავრობამ გამოსცა ბრძანება, რითაც ჯარში იწვევს 25 წლამდე ახალგაზრდობას და ისინი წავლენ, უნდა წავიდენ, ყველას მოვალეობაა წააქეზონ ისინი. მაგრამ, ჩვენ 25 წელზე უფროსებმა არ უნდა დავუცადოთ მეორე მობილიზაციას.

ჩვენ ეხლავ უნდა შევადგინოთ მოხალისეთა ლაშქარი გურულებივით, მეგრელებივით, თფილისელებივით. ჩვენც ბათუმისაკენ, ჩვენ ძმებთან ერთად.

ყვირილა-ჭიათურის მ. დ. საბჭოების თაოსნობით ქ. ყვირილაში სდგება „პირველი შორაპნის სახალხო რევოლიუციონური ლაშქარი" სადაც უნდა ჩაეწეროს ყველა მუშა, ყველა გლეხი, ყოფილი ჯარისკაცები, ინტელიგენტები და სხვები, ყველა, ვინც ლაჩარი არაა, ვინც ვერ შერიგებია თავისუფლების დაღუპვას.

ჩვენი რევოლიუციონური რაზმი ერთი კვირის შემდეგ უნდა გავიდეს ბათუმისაკენ. მის მოწყობა-გაწვრთნას ხელმძღვანელობს ომში გამოცდილი აფიცრები და ჯარისკაცები. მოვუწოდებთ ყველას საჩქაროთ ჩაეწერონ ამ ლაშქარში. გახსოვდეთ, რომ თქვენი დაგვიანებით ჩვენც გვაგვიანდება.

მაშ მიეცით ხელი ხელს, დაიძარით სოფლიდან ცალ-ცალკე და ჯგუფ-ჯგუფათ, იჩქარეთ აქ, ყვირილაში. ჩვენ აქ ურთიერთს გავიცნობთ, დავეწყობით და გავსწევთ იქ, სადაც წმინდა დროშები მიგვიწოდებენ.

**ყვირილიდან ბათუმისაკენ შორაპნელებო, იჩქარეთ მოსვლა!**

**გაუმარჯოს ჩვენს თავისუფლებას! გაუმარჯოს მის მცველთ!**

ჭიათურის მ. დ. საბჭოს წარმომადგენელი **ზაქ. გურული.**

ყვირილის მ. დ. საბჭოს თავმჯდომარე **პოლ. გოგიაშვილი.**

## მუშათა წერილები

### მოგონება.

— ფელდფებელ!—დაიძახა კომანდირმა,—დღეს მესამე „ვზვოდი" უნდა გაგზავნო ყარაულში.

— მესმის, თქვენო კეთილშობილებავ!—მიუგო ფელდფებელმა და უეცრივ მობრუნდა.

შემოვიდა თუ არა სადგომში, მაშინვე მორიგეს აცნობა, რომ დღეს ყარაულში მესამე „ვზვოდი" უნდა წავიდეს და ეცადე კარგები გაუშვა.

— მესმის, უფალო ფელდფებელო, მაგრამ დღეს ჩვენს როტას საჭმელი არ უჭამია, რადგანაც პური არ იყო.

— რა ვქნა, კომანდირმა მიბრძანა ეხლავე უნდა გაგზავნოვო, ეს ჩემი საქმე როდია,—მიუგო ფელდფებელმა და ხელი დაუქნია და წავიდა.

მორიგემ გვიბრძანა: აბა, აიღეთ თქვენი ქვაბები და „ბორში" წამოიღეთ.

— სამი დღეა პური არ მიგვიღია, მეოთხედ გირვანქა ნახევარს გვაძლევენ, და ეხლა აღარც ის არის,—წარმოსთქვა ერთმა და წავედით ბორშისთვის. Въ затылокъ! Затылокъ! — გაისმა ხმა და ყველამ ერთი მეორეს ჩამოვუდექით.

ყველას ჩაგვისხეს რაღაც მწვანე ფერის წყალი და ჩვენც უხმაუროდ დავუწყეთ შიგ ცქერა. ბორში რამოდენიმე მარცვალ ლობიოსაგან შესდგებოდა, რომელიც აქა-იქ დაცურავდა წყალის თავზე.

— განა შეიძლება უპუროთ ამისთანა „ბორშის" ჭამა!—სთქვა ერთმა.

— არც ამას ვჭამ და არც ყარაულში მივდივარ,—განიმეორა მეორემ.

— რასაც გვიზამენ, გვიქნან,—სთქვა მესამემ და ყველამ ერთხმად იგრიალა და ამოღებული „ბორში" ისევ ქვაბში ჩაასხეს.

— სიკვდილს ველით ყოველ დღე და აქაც საჭმელი არ გვქონდეს.—ყვიროიან აქეთ-იქეთ.

მოვბრუნდით უკან და მორიგემ ფელდფებელს გადასცა ყველაფერი მომხდარი ამბები. იმავ წუთში როტის კომანდირს აცნობეს ეს ამბავი და ბატალიონის კომანდირამდეც მივიდა ეს ამბავი, რომ ხალხი პურს თხოულობს და ჩვენ პური არ მიგვიღია სამი დღეაო. ხალხი ყარაულში არ მიდის და „ბორშიც" აღარ მიიღეს დღესაო.

ბატალიონის კომანდირი (ბატონი ბერხმანი *) იმავე წამსვე გაექანა ზომების მისაღებათ, დაიბარა მეცამეტე და მეთოთხმეტე როტის კომანდირები და განუცხადა, რომ დღეს თქვენს როტაში მყოფ ჯარისკაცებს დაურიგეთ საყოფათ პური და შუადღეზე ყველანი თოფებით მოიყვანეთ მეთუთხმეტე როტასთანო. ეს იმავე წამსვე იქმნა სისრულეში მოყვანილი. დღის ორი საათი იქნებოდა, როცა დაგვიძახეს: აბა, ყველამ გარეთ გამოდითო. თავი მოგვიყარეს ერთ ალაგას. ჩვენ მოუთმენლად ველოდით რაღაცას და მართლაც, ხუთი წამის შემდეგ ჩვენ წინ წამოდგა მაღალ-მაღალი კაცი. ეს ჩვენი ბატალიონის კომანდირი იყო და მასთან შეიარაღებული ორი როტაც (13 და 14) მოვიდა. როტები მისი ბრძანებით გარს შემოგვარტყეს.

— ვინ არის ის „ბუნტოვშჩიკი", რომ პური მოითხოვა!—დაიყვირა საზარელი ხმით და ყველანი შიშის ზარმა აგვიტანა.

— თითო ნაბიჯი წინ, ვისაც პური არ გყოფნის! — ყველანი გაჩერებულნი არიან ერთს ალაგას.—მან რამოდენიმეჯერ განიმეორა ეს სიტყვა, მაგრამ ყველანი ერთ ალაგას ვიდექით. მერე ჩამოყვა თითოეულად და ყველას ცალკ-ცალკე გამოჰკითხა:

— პური არ მიგიღია შენ, ივანჩენკო?

— არა, თქვენო უმაღლეს კეთილშობილებავ!

— რამდენი დღეა?

— სამი დღე, თქვენო უმაღლეს კეთილშობილებავ!

— სამი? ჰა, სამი!—და შებრუნებული მათრახი ტარით დაჰკრა თავში სამჯერ,

— არც შენ მიგიღია?—შეეკითხა მეორეს.

ის თავჩაღუნული იდგა და პასუხს ვერ აძლევდა.

— სთქვი,—მიიღე, თუ არა?

სალდათი კიდევ გაშეშებული იდგა.

— ჰა, შენც, გეტყობა, არ მიგიღია!—და გადაუჭირა იმასაც.

ასე ჩამოყვა და თითო ორ-ორი ყველას უთავაზა.

— როტნი კომანდარო, გამოიყვანე, ვინც ამ წელში მოსულებია ფრონტზე ⊘ ეხლავე თოფ-ქვეშ გააჩერე და დანარჩენები, ძველი სალდათები, აქ მოიყვანე!—უბრძანა ბატალიონის კომანდირმა.

— მესმის, უფალო პოდპოლკოვნიკო!—და იმავე წამში ახალ მოსულები ყველანი თოფ ქვეშ გაგვაჩერეს და ძველი ჯარისკაცები, რომლებიც ჩვენზე მეტი ნატანჯი იყო, მათ შემდეგი ხათრი დასდო:

— მოდით აქეთ თქვენ ძველებო! უბრძანა იმათ. ყველას ერთად მოუყარა თავი; 25 კაცამდე იყვნენ. სწორედ საცოდავებას მოასწავებდა მათი შეხედვა, რომლებიც ათას ნაირად დაკერებულ შარვლებში და შინელებში იყვნენ გახვეულნი. ზოგს ფეხზე ბანდიანი ქალამანიც კი ეცვა. მოიყარეს თავი ბატალიონ კომანდირის წინაშე და ყველანი თვალებში შეჰყურებდენ მას...

— აი თქვენ, როგორც ძველი ჯარისკაცები, განაგრძო ბატ. კომ. და მცოდნე სამხედრო დისციპლინის, შეუძლებელია თქვენი ამ დანაშაულობის პატიება, და ყველანი კანონის ამა და ამ მუხლების ძალით ხართ დასახრჩობათ დასჯილნი, მაგრამ ვიღებ რა მხედველობაში იმას, რომ სამი წელიწადია, რაც თქვენ ჩემს ხელში ხართ, ამისთვის მე დაგსჯით ჩემი ძალით. თითეულ თქვენგან უნდა დაერტყას 25 „როზგი", რომელიც ეხლავე უნდა მოვიყვანო სისრულეში.

უცებ ბრძანა მოეტანათ დიდი ხის ნაჭერი, რომელზედაც უნდა დაეწვინათ „როზგ" დასარტყამად ჯარისკაცები. ბრძანება იმავე წამს იქნა შესრულებული. მერმე მოიხმო რამოდენიმე ჯარისკაცები სხვა როტიდან და გადასცა თავისი მათრახი. და უბრძანა, რომ მაგრად ეცემნათ. სასჯელის ასრულებამ 5 საათამდის გასტანა და თითო თითოდ ყველას შეახვედრა 25 „როზგი".

განა შეიძლებოდა როზგის მაგივრათ მათრახი? ეს მართლაც არ შეეძლო, მაგრამ ისიც ვთქვათ, განა შეიძლება პურის მაგივრად როზგი? და აი, მანც თავისი ძალა აასრულა და ასე განაგრძო მუშაობა სალამომდე. ზოგჯერ თითონაც კი ეცვლებოდა მათრახის დარტყმაში. ჩვენ იქვე ახლოს თოფით მხარზედ და 72 გირვანქა ტვირთით ზურგზე აკიდებული ვიდექით და დავყურებდით ასეთ სანახაობას.

— ეხ, როდის იქნება ნეტავი, რომ ერთი შეტაკება მოგვიხდება თათრებთან, რომ გული ვიჯერო და ერთი მაგი გავაციეო,—ჩაილაპარაკა ერთმა ჩუმად ჩემს გვერდში. იმათი შეხედვარე მე ველარ ვგრძნობდი სად ვიყავი. თვალებიდან ცეცხლი მომდიოდა და ველარ მომეფიქრებია, თუ რით შეიძლებოდა ბოლო მოღებოდა ამდენ ტანჯვას. ოხ, რა საცოდავი სახედავი იყო ეს სურათი. როდესაც თვითონ თვალით ვხედავდი, სადა ხარ ჩემო სამშობლო, ვფიქრობდი მე. ნუთუ შენდა დასაცავად ვართ მოსული აქ ჩვენ და შენ პურის მაგივრად „როზგით" გვიმასპინძლდები? ნუ თუ ეს სამართალია, ნუთუ საჭიროა, რომ კიდევ ერთგულობა გაუწიოს იმ ჯარისკაცმა იმ მეფეს, რომელზედაც მას ყოველ წუთში ეუბნებიან? ათასნაირ ფიქრებმა შემიპყრო. და ვერც გამომეკვლია, თუ სად ვიყავი, როდესაც საშინელი ყვირილი მომესმა და უცებ გონს მოვედი. გავიხედე და ჩემს წინ ეხლა უფრო უარესი სცენა იყო. ერთი მოხუცი ჯარისკაცი იწვა პირჩაღმა იმ ხეზედ, სადაც „როზგს" სცემდენ და საშინლად ყვიროდა, მაგრამ შეუბრალებელი ჩვენი კომანდირი მაინც თავისას არ იშლიდა და დამრტყმელებს უყვიროდა უფრო მაგრათ დაერტყათ მისთვის. როდესაც 20-ჯერ დაარტყეს მათრახი უბედურს, უეცრივ ხმა შესწყვიტა და ხელფეხი აქეთ-იქით გადაჰყარა. უცებ ცემა შესწვეტეს და ექიმს დაუძახა კომანდირმა. ექიმი იქვე ახლოს იდგა. ექიმიც მოვიდა და ყური გულზედ დაადვა, აქეთ-იქით ხელი შეუსვა და ზედ წამოდგა.

— რას შვება, დავარტყათ კიდევ, ცოცხალია? — შეეკითხა კომანდირი.

— ცოცხალია, ცოცხალი, მხოლოდ გული წასვლია. დაარტყით არა უშავს,—უპასუხა ექიმმა.

დაარტყეს კიდევ სამჯერ და კიდევ ექიმმა დახედა და კიდევ ნება მისცა დაერტყათ ორიც და ასე შეუსრულეს 25, მერე კი დაადვეს ეს კაცი ჯოხებზე და წაიღეს იქვე ახლო „აკალოტკაში".

რამოდენიმე დღის შემდეგ ისევ როტაში მოიყვანეს ის და სულ იმას უქადაგებდენ, რომ იყოს ერთგული და მორჩილი მეფისა.

**საწყალი მუშა.**

*) ბერხმანი, მეთხე ბატალიონის კომანდირი, მეშვიდე კავკასიის მსროლელი პოლკის.

## ფოთის ავ-კარგი

ფოთი კოლხიდის „კარებია". ამ კარების მნიშვნელობა კარგათ დააფასა ნ. ნიკოლაძემ, რომელმაც თითქოს ზღაპრული ძალით აღმართა ზღვის ტალღებსა და ჭაობებში დიდებული ნავთსადგური და ვიწრო „კარები" იმდენათ გააფართოვა, რომ თავდაუხრელათ შამოდიან შიგ განათლებულნი ევროპიელნი.

ფოთის მნიშვნელობა, როგორც ნავთსადგურის ყოველთვის დიდი იყო, მაგრამ დღეს ის კიდევ უფრო გაიზარდა.

განსაკუთრებით ოქტომბრის დღეების შემდეგ, როცა რკინის გზით მიმოსვლა ჩრდილო კავკასიასთან სრულიად შეწყდა, იქიდან სურსათის გამოტანის იმედი გაჰქრა. დარჩა მხოლოდ გზა ზღვით—ფოთიდან და ბათომიდან.

ფოთის დემოკრატიამ თავიდანვე ნათლად გაითვალისწინა შექმნილი მდგომარეობა და შეგნებულათ შეუდგა საქმეს.

ერთ დროს აქაური გადამტვირთველი მუშები საშინელ მდგომარეობაში ჩავარდნენ.

ატყდა ერთი საშინელი აგიტაცია, მითქმა მოთქმა: „მუშები 30—40 მანეთს აკეთებენ დღიურათ, არ მუშაობენ და სურსათი გადმოუტვირთველი რჩებაო; საჭიროა ჯარისკაცების მუშაობა და სხვ.".

ჯარისკაცების საბჭო ერეოდა არტელის ცხოვრებაში, ვითომ და დეზერტირების საძებნელათ. ჯარისკაცები ესწრებოდენ გემების გადმოტვირთვას და იტაცებდენ საქონელს.

შეგნებული ნაწილი ჯარისკაცების ებრძოდა ასეთ მოვლენას, თუმცა უშედეგოთ.

ხშირი იყო ისეთი მომენტები, როდესაც ჯარისკაცებისაგან პოგრომებს ველოდით.

არავინ იცის, რით დამთავრდებოდა ეს ბრძოლა, რომ არ მოსწრებოდა ოქტომბრის გადატრიალდება, დროებითი ზავი და ჯარისკაცების სახლში გამგზავრება.

პროვოკატორებს და პოდრიაჩიკებს გამოეცალათ ნიადაგი აგიტაციისათვის.

მუშებმა ცოტა თავისუფლათ ამოისუნთქეს და ხელფასის მომატება მოითხოვეს.

მათი მოთხოვნილებები დაკმაყოფილებულ იქნა. მაგრამ ვერც ამან უშველა აქაურ მუშებს, მათდა საუბედუროთ ჯამაგირის მიღებას ვერ ეღირსენ. ბევრია მუშებში ისეთები, რომელთაც ორი, ორ თვე ნახევრის ჯამაგირიც არ აქვთ მიღებული და ეს ამ საშინელი სიძვირის დროს.

მთელი აქაური ვაჭრობა პირდაპირ მტაცებლობაზედაა აშენებული, თუ ყურადღებაში არ მივიღებთ მცირე გამონაკლისს: არ შეელის არც ნიხრი, არც დაჭერა, არც ჯარიმა. სპეკულიაცია საშინლათ განვითარებულია.

ვაჭრებს აქვთ აქ თავისი საზოგადოება, მაგრამ მისი თვალსაჩინო გამოსვლა ჯერ არავის უნახავს. უნებლიეთ ადარებ ამ ხალხს ადგილობრივ მუშებს და პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ მუშებს თამამათ შეუძლიანთ იამაყონ თავისი ზნეობრივი სიმტკიცით. ისინი ყოველ წამს მზათ არიან, რაც გინდა დიდი მსხვერპლი გაიღონ თავისუფლებისათვის.

მუშებმა დიდი დავი-დარაბის შემდეგ მიიღეს ნაწილი ფულისა და დროებით ამით განელდა კრიზისი. დაახლოვებით პორტის მუშებშიც იგივე მდგომარეობა შეიქმნა, რაც სადგურის მუშებში. უკვე რამდენიმე თვეა, რაც მათ ხვედრი ფული არ მიუღიათ. ბევრი ემუდარენ რკინის გზის სამმართველოს, ცენტრალურ კომიტეტს, მაგრამ პასუხი ვერ მიიღეს, რადგან ფული არ იყო. მოთმინებიდან გამოსულნი მუშები გაიფიცენ: გაფიცვა ათი დღე სწარმოებდა. მუშები თხოულობდენ სრულიად დაკმაყოფილებას, მაგრამ ეს შეუძლებელი გახდა. ბევრი მოლაპარაკების შემდეგ მუშებმა ადგილობრივი ს.-დ.—ლი კომიტეტის წინადადებით გაფიცვა მოხსნეს და დასთანხმდენ ჯამაგირის ნაწილის მიღებაზე.

საინტერესო იყო ამ გაფიცვაში ის, რომ მან თითქოს შეუმჩნევლათ ჩაიარა: მის შესახებ არაფერი არ სცოდნია არც ფართე საზოგადოებას, არც რომელიმე ადგილობრივ ორგანიზაციას. სურსათის გაზიდვის საქმეს ეს გაფიცვა საგრძნობლათ აფერხებდა, და თუ გაფიცვა მაინც სწარმოებდა, ამის მიზეზი გახდა მუშების აუტანელი მდგომარეობა.

ფულის უქონლობის ნიადაგზე ალმოცენდა, სხვათა შორის, კონფლიქტი სამხედრო (საპატრულო) გზაზე მომუშავე მუშებსა და მოიჯარადრეებს შორის. ერთი თვის წინათ ნაწილი ამ მუშებისა მოითხოვდა, რომ მათთვის ხელფასი მიეცათ ქაღალდის ფულებით და არა ფასიანი ქაღალდებით, რადგან, როგორც ისინი ამბობდენ, ქაღალდებს არავინ ღებულობს სოფლათ, და რომც ღებულობდეს, მათ მათი მოხმარის არაფერი გაეგება. მაშინ მუშათა საბჭომ მოაწესრიგა ყველაფერი და მუშები დაკმაყოფილებული გაისტუმრა სოფლებში.

დღეს ირკვევა, რომ იმავე გზაზე მომუშავე მუშებს, მათგან ბევრი სპარსელებია, არ აქვთ მიღებული ორ-ორი თვის ჯამაგირი. მუშაობა შეწყდა, მუშები სახლისაკენ ეშურებიან, მაგრამ მათ არავინ უსწორებს ანგარიშს. მოიჯარადრენი გაიძახიან: „ჩვენთვის კანტორას არაფერი მოუცია და საიდან გაგისწოროთ". კანტორასაც გამოსასვლელი გზა უპოვნია: „კომისარიატი ფულს არ გვიგზავნის და ჩვენ რა ვქნათო". სანამ მოიჯარადრენი და კანტორა იბრძვის, მუშები საშინელ მდგომარეობას განიცდიან. ეს უმწეო ხალხი უგზო-უკვლოთ, უსახსროთ დაყიალობს ფოთში და მოთმინება ეკარგება. უფროსი ინჟინერი თფილისში წასულა, ხმები დადის გაიპარაო. პოდრიადჩიკებს კი საკმაო თანხა არ ჰქონიათ, რომ მუშებს ანგარიშები გაუსწორონ.

როგორც ხმები დადის, აღნიშნულ გზაზე დიდ ბოროტებას უნდა ჰქონდეს ადგილი და საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს.

ადგილობრივმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გაგზავნა კომისარიატთან საქმის გამოსარკვევათ და ფულის საშოვნელათ დელეგატი: მანამ კი დაავალა მოიჯარადრეებს დროებით გაუსწორონ მუშებს ანგარიში, სანამ კანტორა მათ გაისტუმრებდეს.

რადგან მუშები უბინობით ძლიერ იტანჯებიან, მათ დაუთმეს ყოფილი ჯარისკაცების სადგომი ბინა.

ყველა დასახელებული და სხვა ბევრი ამგვარი კონფლიქტები, რომელთაც ხშირათ აქვთ ადგილი ფოთში, უმთავრესათ ფულის უქონლობითაა გამოწვეული.

საზოგადოთ ფული ფოთში, როგორც ყველგან, გაჰქრა. ფასიანი ქაღალდები და ათასიანები ხშირათაა, მაგრამ მათი დახურდავება შეუძლებელი ხდება.

ყველა ხსნას „ბონებში" ხედავს, ბონებმა კი დაიგვიანა და ისიც ცოტა მოვიდა. რა არის 100 და 200 ათასი, როდესაც საჭიროა სულ მცირე 500 ათასი და მეტი?!

ამასთან ხმები დადის, რომ ფასიან ქაღალდებს ბევრგან არ ღებულობენო, რაც კიდევ უფრო ამწვავებს მდგომარეობას.

ფასიანი ქაღალდების მოხმარას ჩვენი დემოკრატია არაა ჩვეული და ამ ნიადაგზე მოსალოდნელია ათასნაირი ცულლუტობა. საჭიროა ამ დროებით საკმაო ფულის ნიშნები. ცნობილია, რომ კრიზისის დროს მუშებს ყველგან აკვეთილი აქვს ნდობა და დროზე ხელფასის მიუღებლობა მათ აუტანელ მდგომარეობაში აგდებს.

საჭიროა ჩქარი და ენერგიული ზომები, რომ არსებული მდგომარეობა არ გაძნელდეს და მას შედეგათ რამე საშინელება არ მოჰყვეს. მუშები აქაც და სხვაგან ბევრს ითმენენ, მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს და დემოკრატიული მთავრობის ინტერესები თხოულობს, რაც შეიძლება ნაკლებ განსაცდელში ჩააყენოს მუშების მოთმინება. ფულის მხრივ არა ნაკლებ გასაჭირს განიცდის ქალაქის თვითმართველობა.

**ლ. კილურაძე.**

## ჩემი მეგობარი

ის ჩემი მეგობარია,—მეგობარი განუყრელი. სადაც მე წავალ ისიც ჩემთანაა. [illegible] მოღალატობს. [illegible] მისი [illegible] კუბოს [illegible]

[illegible] ის, [illegible] მომ- [illegible] იმედის [illegible] ობელი. [illegible] თავს [illegible] ხავიან, [illegible] ვენიერ [illegible] ემუ- [illegible] უნდა? [illegible]

[illegible] მ.

## გიორგი (ჟორჟია) მირზოიანის დასაფლავება

1-ლ მარტს ხოჯავანქის სასაფლაოზე [illegible]

გურის დამცველ ორგანიზაციის წარმომადგენლები გვირგვინით. ამხ. წითელ გვარდიელები ყველა რაიონებიდან. დაესწრენ აგრეთვე რევ. ორგანიზაციების წარმომადგენლები, გვირგვინითა და დროშებით. წარმოითქვა რამდენიმე სიტყვა.

თავისუფლებამ დაკარგა ერთი დარაჯთაგანი, მაგრამ ჩვენ გვწამს ყოველი მზგავსი მსხვერპლი თავისუფლებას მატებს არა ერთეულებს, არამედ მთელ რაზმებს, რასაც საფუძვლად ედება გიორგის მსგავსი თავდადებული ამხანაგები.

დ. ი. ლორთქიფანიძე.

## ლეჩხუმის ამბები

**ამხ. ლევან დადეშქელიანის მკვლელობის სურათი.**

(ლევანის მხლები სვანის ნაამბობი).

ლევან დადეშქელიანი ლეჩხუმისაკენ წესიერების ალსადგენათ გამგზავრებულ რაზმს გაყვა. რაზმს წინ გადაელობა და სხვადასხვა ადგილს კლდეებში ჩაუსაფრდა ლეჩხუმის ჯარის-კაცობა. სამწუხაროდ ჯარის-კაცების მოძრაობის დაწყებისთანავე ამ ჯარისკაცებში შეერიენ ძველი მოხელეები და ნაძირალები ზოგან პირადათ და ზოგანაც ჯარისკაცი შვილების სახ[illegible]ით, აი, ამ ხალხმა დაიწყო ერთი მხრივ ხმების გავრცელება და გაზვიადება ყოველივე იმისა, რაც ლეჩხუმში მართლა ხდებოდა, ხოლო მეორეს მხრივ თვით ჯარისკაცებში ამუშავდენ და ისინი დააჯერეს რაზმისაგან ლეჩხუმის დანგრევის განზრახვაში.

ამის გარშემო ატეხილი ლეჩხუმის სიბედშავით სავსე გრძელი ისტორია დათავდა ასეთი შეთანხმებით: რაზმი ალპანის სადგურიდან უკან, ქუთაისისაკენ მობრუნებულიყო 26 თებერვალს ხოლო ლევან დადეშქელიანს და რუბენ ყიფიანს 2 მარტს ცაგერში სალდათთა კომისიისათვის განმარტება მიეცათ თუ რა პირობებში მოხდა რაზმის გამოწვევა.

სამწუხაროთ თვით ჯარისკაცთა მიზეზების გამო რაზმი 26 თებერვალს, ველარ მობრუნდა უკან და ეს კი დადეშქელიანის და ყიფიანის დარჩენასაც იწვევდა.

მოლოდინში გამო ლევან დადეშქელიანი ველარ დარჩა ალპანას და თავის სახლში გაემართა მხლებელ სვანსა და სიძე ამხ. კუპრაშვილთან ერთად, დარწმუნებული, რომ საქმე გათავებულია.

ამის შემდეგ ამბავს ასე აგვიწერს მისი მხლებელი სვანი ებედუ[illegible]: როდესაც ოთხი ვერსი გავიარეთ და ქვლეშს მივედით (აქ იყვენ სხვათა შორის ჯარისკაცები ჩასაფრებული) თუთხმეტიოდე კაცი შემოგვეერტყა და ლევანის ვინაობის გამორკვევის შემდეგ სხვებსაც დაუძახეს. ბოლოს თავი მოიყარა 150—200 კაცამდე და ლევანს უ[illegible]აყვედურეს: ჯარი რათ მოიყვანეო და ამიტომ იგი დატყვევებულათ გამოაცხადეს. ლევანის შეკითხვაზე თუ შეთანხმებას რატომ არღვევენ და ამ უკადრის საქმეს რათ ჩადიან, მათ უპა[illegible]უხეს, რომ ჩვენ შეთანხმება განგებ მოვაწყვეთო. ამის შემდეგ ერთმა უკანიდან დაიძახა: რატომ ყოველივე ისე არ ვშობით როგორც ნათქვამი გვაქვსო? ამის გამგონემ მე ლევანს სვანური უთხარი ცხენიდან ჩამომხტარიყო, მაგრამ მან ერთი გადმომხედა და ისევ იმათ დაუწყო ლაპარაკი. ამ დროს უკანიდან თოფიც გავარდა, ლევანმა ერთი დაიძახა: ვაიო, გულზე ხელი მიიდო და ცხენიდან გადმოეშვა კიდეც. მე თოფი ვისროლე, მერე წავიქეცი და ერთი ტყვიის მეტი აღარ გავარდა. შემდეგ გავიგე, რომ წაქცევის დროს თოფის ჩახჩახში მიწა ჩამყროდა და ხელიც ამან შემიშალა. როცა თოფი აღარ გავარდა სხვა გზა აღარ იყო, ღამის სიბნელით ვისარგებლე და თავს ვუშველე. ამ ამბავს სვანი ტირილით ამბობს და თვალ-ცრემლიანი ადგია თავს ლევანის ცხედარს. („ს. დ.“)

როგორც ქუთაისიდან ჩამოსულებმა გვიამბეს, ლეჩხუმის მაზრიდან ხალხს დელეგაცია გამოუგზავნია ქუთაისში და სთხოვენ რევოლიუციონურ მთავრობას საქმის მორიგებით გათავებას.

## წერილი ქსნის ხეობიდან

**ქსნის ხეობა** (დუშეთის მაზრა). მ[illegible] დუშეთის მაზრაში ქსნის ხეობა საუკეთესო ადგილია. ნოყიერი და მდიდარი ნიადაგი, ყველაფერს ერთი ათად და ასათ იძლევა. და აი ეს მშვენიერი, ეკონომიურათ მდიდარი კუთხე ჯერ კიდევ შეუგნებლობის ბურუსშია გახვეული.

პირველი მიტინგი გავმართეთ სოფელ მუხრანში. მიტინგზე ბევრი დაესწრებოდა, რომ ბალშევიკებს აქაც არ შეეშალათ ხელი. ჩვენ ორატორებს ხალხი გულდასმით უსმენდა, მაგრამ როგორც კი ბალშევიკმა ა—ძემ თავისებური, ჩვეულებრივი დემაგოგია გააჩაღა, ხალხში დიდი უკმაყოფილების და წყრომის ხმა გაისმა. ამის გამო ხალხმა აღარ ალაპარაკა ბალშევიკათ მონათლული ვიღაც პ—შვილი, რომელსაც ორი-სამი დღის წინათ ხალხი კინაღამ ერთი მეორეზე მიესია. დიდი ენერგია, თავდაჭერილობა და უნარი გამოიჩინა ამხ. თავმჯდომარემ მ. კლიმიაშვილმა, რომელმაც შესძლო აღელვებული ხალხის შეკავება და დაშოშმინება. აქ ილაპარაკეს და კარგათაც დაახასიათეს სოფლათ ბალშევიკების მოღვაწეობა თვით სოფლის მოწინავე მუშებმა, განსაკუთრებით ბაზალელმა გლეხმა, რომელმაც მიტინგს დაწვრილებით გააცნო ამ ვაჟბატონების პროვოკატორული საქმიანობა, როდესაც მათგან წაქეზებულმა და გაბრიყვებულმა პირებმა მოხუცი ბელადი ისიდორე რამიშვილი შეურაცხ-ჰყვეს. ხალხი აღელდა ბალშევიკების წინააღმდეგ, მაგრამ მათ იკადრეს გაპარვა.

აქ დამარცხებული ბალშევიკები ზევით ხეობისაკენ წავიდენ და ჩვენც უკან გავყევით მათ.

გზა და გზა ჩვენ მიტინგებს და კრებებს ვმართავდით და ხალხს შეძლებისა დაგვარათ ვუხსნიდით ბალშევიკების დამღუპველ საქმიანობას. თითო-ოროლა ყოფილი ჯ[illegible]ისკაცი გამოდიოდა ბალშევიკების ძომხრეებათ, მაგრამ თვითონ ხალხიდან გამოსული გლეხი ორატორები საკადრის პასუხებს აძლევდნენ მათ.

ასე იყო ს. ქსოვრისში, სადაც ხალხმა დაჰგმო ბალშევიკების ამრევ დამრევი საქმიანობა მიწების განაწილების შესახებ. შემდეგ გავემგზავრეთ ს. ახალგორისაკენ, სადაც მივედით იმ დროს, როდესაც მუხრანიდან გამოდევნილი ბალშევიკი პ—შვილი თავის დემაგოგიას და მიწების ახლავე დატაცებას ქადაგობდა მრავალრიცხოვან მიტინგზე. ჩვენ არ გვინდა ინჟინრები, აგრონომები და კამისიები; ჩვენ თვითონ თოკებით დავ[illegible]ნაწილოთო, ურჩევდა ის ხალხს. ჩვენმა მისვლამ მას თავ-ზარი დასცა და როდესაც ჩვენი ორატორები ავიდენ ტრიბუნაზე, ის და მისი მომხრე თითო-ოროლა პირები გაიპარენ. აქაც გავაცანით ხალხს დღევანდელი ჩვენი კრიტიკული მდგომარეობა, დავანახ[illegible]თ მათ ბალშევიკების დამღუპავი საქმიანობა და მოუწოდეთ ერთობის დასაცველათ, როგორც გარეშე, ისე შინაურ მტრებისაგან.

ახალ-გორიდან ს. ოძისში ჩამოვედით, აქაც გავმართეთ მიტინგი, სადაც სხვათა შორის ილაპარაკა სწავლის საჭიროებაზე აცრემლებულმა ბაზალელმა გლეხმა მიხა წ—ძემ, ჩვენ რომ სწავლა [illegible] გაგება გვქონოდა, ბალშევიკები ასე არ დაგვიბრიყვებდენ და ჩვენი თავის მოვლა-პატრონობას შევიძლებდითო, როდემდის უნდა ვიყოთ უენო და დასაკლავ საქონელსავით გაწირულებიო.

მეორე დღის, 4 მარტს, დიდი მიტინგი გვქონდა სავურამოში, სადაც თბილისიდან ამოსული ამხანაგებიც დაგვეხმარნენ. აქაც ილაპარაკეს მოწინავე გლეხებმა, რომლებმაც მოითხოვეს თავისი ჰირ-ვარამის გამრკვევი ჟურნალ-გაზეთების გავრცელების და ხშირი მიტინგების მოწყობის საჭიროება, ამნაირათ, დუშეთის მაზრაში ბალშევიკების და სხვა ბნელი პირებისაგან შექმნილ ანარქიას ამ მიტინგების შემდეგ ბოლო მოეღო.

სოსო.

## პროვინცია

**ქ. სურამი.** 23 თებერვალს პარტიის კომიტეტის კრებაზე მოხდა კომიტეტის პრეზიდიუმის ახალი არჩევნები. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. სარდიონ მამალაძე, თავმჯდომარის ამხანაგათ კ. წოწონავა, მდივნათ გენადი ბებიაშვილი და მოლარეთ იოსებ მესხი. ამ კრებაზე გადაწყდა სხვათა შორის სახალხო მიტინგის გამართვა 25 თებერვალს, რომლის მოკლე ანგარიში უკვე იყო აღნიშნული ჩვენი გაზეთის „ერთობის“ 3 მარტის ნომერში. წერილის დასასრულ ამხ. Calis' ამბობს, რომ მიტინგის თავმჯდომარის არჩევის წინ მოხდა პატარა პროვოკაცია, და არსებითად არ ეხება საქმის ვითარებას, რაში მდგომარეობდა ეს „პატარა“ პროვაკაცია და ვინ იყვენ იმისი გამომწვეველნი, და ჩემის აზრით კი აუცილებელი საჭიროა ამ „გმირთა“ ვინაობა იცოდეს ადგილობრივმა საზოგადოებამ, ამისთვის ალვნიშნავ, რომ როდესაც კრება გაიხსნა და ამხ. კ. წოწონავამ წინადადება მისცა ყრილობას აერჩიათ თავმჯდომარე, ზოგმა დაასახელა ამხ. მამალაძე და ზოგმა კ. წოწონავა. ამ დროს წინ წამოდგა ვიღაც სქელი და დაბალი კაცი, რომელიც აღმოჩნდა ცნობილი მრავალგვარ სისაძაგლით პეტრე სამხარაძე, რომელიც ძველ მთავრობასაც არა ერთხელ დაუსჯია და დოინჯ შემოყრილმა განაცხადა: ვინ გდიხართ თქვენ, საიდანაც მოთრეულხართ იქ წაეთრიეთ, ვინ აგირჩიათ თქვენ. გადადექით, ჩამოდით ძირს და ჩვენ დავიჭეროთ თქვენ ადგილსო. თქვენ ქვეყანა გაატყავეთ, მედუქნეებს გადასახადი დაადეთო და სხვა და შემდეგ მიუბრუნდა ხალხს: ხომ მართალია, ხალხო, რასაც ვამბობო. ხალხი ამ მოულოდნელი გამოსვლით ერთხან სდუმს, პეტრე სამხარაძე კი გათამამებული ხალხის დროებით დუმილით, განაგრძობს პატარა კი არა დიდ პროვაკაციას; მას აღმოუჩნდა ქომაგი ვიღაც მიხაკო კიკნაძე, ხელობით თერძი, მაგრამ იმავე დროს სამიკიტნოს გახსნის მოსურნე, რომელსაც ქალაქმა სამიკიტნოს გახსნის ნება არ მისცა, პიროვნება ცნობილი, როგორც მუშათა არტელის შემდგენელი და ამ მუშათა დამატყუებელი, და მორთო ღრიალი: долой всѣхъ, черезчуръ долой. აქ კი ხალხის დუმილი დაირღვა და ორთავე „გმირი“ კრებიდან გააძევეს. გამოირკვა აგრეთვე, რომ ამ „გმირებს“ პარტიულ ამხანაგებზე უსისიანებდა პეპო ლიტოევის ძმისწული, რომლის ბიძა, პეპო, ქალაქის საბჭომ, სადაც თავმჯდომარეობს ამხ. მამალაძე, სამასი მანეთით დააჯარიმა სპეკულიაციისთვის ნავთის გაყიდვაში. მეორე დღეს ვაჟბატონი პეტრე სამხარაძე მიდის ამხანაგ ს. მამალაძესთან, როდესაც ის დგას აფთიაქის წინ, ლანძღავს უშვერის სიტყვებით, ემუქრება გასრესას და მოსპობას და ურჩევს სურამიდან წასვლას და დასასრულ მუქარით და ღრიალით ბრძანებს: „ჩვენს ძაღლებს, როგორც შაქრო ხიდირბეგოვია (ქალაქის თავია) და სხვები ჩვენ დავახრჩობთ და მოთრეულები ვინცა ხართ გადაეთრიეთ—ხელს ნუ გვიშლითო“.

26 თებერვალს, ღამის ორ საათზე ასტყდა თოფების სროლა ლაზარეთისკენ, თოფების სროლას მოყვა ზარების რეკა. არავინ იცოდა რაში იყო საქმე. დილას გამოირკვა, რომ ადგილობრივ ლაზარეთის მცველებს, წითელ გვარდიელებს, დასცემოდენ ვიღაცეები და სროლა აეტეხათ, წითელ გვარდიელებსაც სროლითვე პასუხი გაეცათ, შემდეგ წ. გვარდიელთა შტაბში შეეტყობინებიათ და ამხანაგ ხაშურელ წითელ გვარდიელების დახმარებით ღამის სამ საათზე დატყვევებულ იქნენ შემდეგი საეჭვო პირები: მიხა აბაზაძე, მიხა კიკნაძე, რომელნიც გზაში შეხვედროდათ წითელ გვარდიელთ, ცნობილი დეზერტირი და შანტ[illegible]ისტი პასოევი, პეტრე სამხარაძე, და პოზა მურვანიშვილი. მეორე დღეს მოხდა სურამის რაიონის მუშათა და გლეხთა საბჭოს საგანგებო კრება, რომელმაც განიხილა რა დაპატიმრებულ პირთა ძველი და ახალი „მოღვაწეობა“, იცნო ისინი მავნე პირებათ მთელი რაიონისთვის და რევოლიუციისთვის და ერთხმათ დაადგინა: ყველა დაპატიმრებულნი პირნი გაგზავნილ იქნენ გორის ციხეში და არამც და არამც სურამის რაიონის მუშათა და გლეხთა საბჭოს დაუკითხავათ და ნებადაურთველათ არ იქნენ განთავისუფლებული. კრების გათავების შემდეგ, 27 თებერვალსავე, სურამის რაიონის მუშათა და გლეხთა საბჭოს თაოსნობით, ადგილობრივ ბაღში გაიმართა დიდი სახალხო მიტინგი, რომელშიაც მიიღო მონაწილეობა იტრიის საზოგადოებამაც. რევოლიუციის წლის აღსანიშნავათ ილაპარაკეს ამხ. ვ. მურვანიშვილმა, ვ. დავითიანცმა და ს. მამალაძემ, აგრეთვე ბ-ნ ქიშელავამ და ვარლამ ძგვესაძემ.

„მრავალ-რიცხოვანმა მიტინგმა, მოწვეულმა სურამის რაიონის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს თაოსნობით რევოლიუციის წლის თავზე, მოისმინა რა მოხსენება, რომ ლენინ-ტროცკის მთავრობამ ამიერ-კავკასიის დემოკრატიის დაუკითხავათ შესთავაზა ოსმალეთს ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ნაწილები, როგორიც არის ბათუმი, ყარსი და არდაგანის ოლქები, რომელთა დაკარგვას ამიერ-კავკასიის დემოკრატია ვერ შეურიგდება, რადგანაც ეს იქნებოდა ნიკოლოზ მეორის უღლის შემდეგ სულთანის უღლის კისერზე დადგმა, ყრილობა სალამს უძლვნის ამიერ-კავკასიის სეიმს, რომელმაც გადადგა ნაბიჯები ამ მოსალოდნელი უბედურების წინააღმდეგ და ფიცს სდებს, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებს ზემოხსენებულ ოლქების და რევოლიუციის მონაპოების შესანარჩუნებლათ“.

Ueritas.

**ს. აცანა** (გურია). 18 თებერვალს შესდგა აცანის კოოპერატივის „იმედის“ წევრთა კრება. კრებამ გაარჩია შემდეგი კითხვები: 1) წლიური ანგარიში; 2) ახალი გამგეობის არჩევა; 3) სასურსათო საკითხი. აღმოჩნდა შემდეგი: საქონელი საბაკალეინო თუ სახარაზო დუქანში და აგრეთვე საპაიო და საწევრო 18,834 მ. 95 კ. ფულად კასაში 5,763 მან. 13 კ. ლანჩხუთის კავშირში 600 მ., ქუთაისის კავშირში 470 მ., თფილისის კავშირში 30 მ. აცანის უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებელს სესხათ 2,010 მ., ინვენტარი 934 მ. 89 კ. სულ 28,642 მ. 97 კ. ამ ფულებში კოოპერატივს უქსესხებია 19,174 მ. 10 კ. ხარჯები სულ 650 მ. 19 კ. წინათ ჩაბარებული თანხა 7,398 მ. 13 კ. სულ 27,222 მ. 42 კ. აღმოჩნდა ძონაგები 1420 მან. 55 კ. ამ ანგარიშს დაესწრო ახლათ არჩეული გამგეობის წევრნი მელქისედეკ ი. ჩხაიძე, ბესარიონ ჩხაიძე და სარევიზიო კომისია, რომლებმაც ჩაიბარეს ყოველივე. იმავე სალამოს გამგეობას ქონდა მსჯელობა ნოქრების შესახებ და მოუმატა ჯამაგირი ნოქრებს ნ. ქინქლაძეს, მ. ჩხაიძეს და მოლარე ქალს მაშო ჩხაიძეს. „იმედი“-ს განყოფილებაში ხარჯს გარდა აღმოჩნდა მოგება 30 მ. 58 კ. სასურსათო საკითხის მოწესრიგება მიენდო კოოპერატივის გამგეებს დახმარებით სასურსათო კომიტეტისა.

ლისგორელი.

**ს. ნახახულევი** (ხონის რაიონი). ამ წლის 4 თებერვალს შესდგა ნახახულევის შემნახველ-გამსესხებელი საზოგადოების წევრთა წლიური კრება. გამგეობის წევრმა გააცნო კრებას 1917 წლის შემოსავალ-გასავალი. გამოირკვა, რომ წმინდა მოგება უდრის 2100 მ. დამსწრე საზოგადოებამ მადლობა გადაუხადა გამგეობას, მოგება კი გაანაწილა სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებების სასარგებლოთ. მაგალითად: ქართულ უნივერსიტეტს 100 მ., ადგილობრივ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელს 200 მ., სამკითხველოების სასარგებლოთ 80 მ., დახმარება აღმოუჩინეს რამოდენიმე ღარიბ გლეხების ოჯახებს.

სოფლელი.

**ს. ბახვი** (გურია). 24 თებერვალს შესდგა ბახვის საზოგადოების მრავალრიცხოვანი მიტინგი. მომენტზე ილაპარაკეს ოზურგეთიდან მოსულმა ამხანაგებმა, მენშევიკების მხრით ილაპარაკა ამხ. მიხა საბაშვილმა, ს.-ფედერალისტების გვახარიამ და ასათიანმა. მოისმინა რა მიტინგმა ორატორების ლაპარაკი გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: „ჩვენ არ ვცნობთ ამიერ-კავკასიისათვის სავალდებულოთ სახალხო კომისართა მიერ შეკრულ ზავს. თავს დავიცავთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ოსმალეთის იმპერიალისტების თავდასხმისაგან და ამ მიზნით ვიწონებთ რა გამოცხადებულ მობილიზაციას, ფიცს ვსდებთ, რომ საჭიროების დროს ჩვენც ყველანი ერთად გამოვიდეთ ჩვენი მხარისა და თავისუფლების დასაცავათ. ამასთან მიტინგი იწონებს სამაზრო მთავრობის მიერ მიღებულ ზომებს შინაური რევოლიუციონური წესრიგის დასაცავათ და მოღალატეთ სთვლის ყველა იმათ, ვინც თოფის სროლით ან სხვა რაიმე უწესოებით საზოგადოებაში წესრიგს დაარღვევს“. მიტინგმა ეს რეზოლიუცია მიიღო და ფიცი დასდვეს წითელი დროშის წინ. როდესაც მიტინგი ფიცს სდებდა წითელი დროშის წინაშე განცალკევებით იდგა ერთი ჯგუფი თუთხმეტ კაცამდე და დასცინოდენ ხალხს, მიტინგმა იმ ვაჟბატონებს მაშინვე ზიზღი გამოუცხადა ერთხმად და პასუხის მოთხოვა მიანდო ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციას და აღმასრულებელ კომიტეტს.

შავი.

## წერ. რედაქციის მიმართ

მოქალაქე რედაქტორო! თქვენი პატივცემული გაზეთის 52 №-ში მოთავსებულ შ. ხიდისკარელის მიერ შედგენილ ანგარიშში რაჭველ-ლეჩხუმელთა კრების შესახებ, სხვათა შორის ნათქვამია, რომ ევგენი დვალის რეზოლიუციამ მარტო 5 ხმა მიიღო და ჩემი რეზოლიუცია კი მოყვანილი არ არის. შეიძლება ვინმემ იფიქროს, ვითომ მე ლეჩხუმში პროპაგანდისტების გაგზავნის წინააღმდეგ ვიყავი. ამიტომ გთხოვთ, რომ ჩემი რეზოლიუციაც ამცნოთ ხალხს, რომელიც ასეთია: გაიგზავნოს რაჭა-ლეჩხუმში ინტერ-პარტიული კომისია ან ჯგუფი მომხდარ საქმეების გამოსაძიებლად და მასთან მშვიდობიანობის ალსადგენად. ასეთი რეზოლიუციის წარდგენა ჩემის მხრით იმან გამოიწვია, რომ მომხსენებელმა ცოტა არ იყოს ბუნდოვანი მოხსენება გააკეთა იმ მხრივ, რომ მან ვერ სთქვა გადაჭრით თუ ვისთან გვაქვს საქმე? მართლა შავრაზმელებთან თუ რამ შემთხვევით გაუგებარ და აღშფოთებულ მცხოვრებლებთან? ამავე დროს ისიც მივიღე მხედველობაში, რომ დღეს ინტერ-პარტიული ჯგუფი და კომისია უფრო მეტის ნდობით არიან ყველგან აღჭურვილი და მიღებული ხალხის მიერ და მეტ ნაყოფიერადაც მუშაობენ.

პატივისცემით ევგენი დვალი.

## ღია წერილი

**ხტუდ. ალიკო ქრისტეფორეს ძე ხუმარაძეს.**

პატივცემულო ალიკო! ის 544 მ. რომელთაც თქვენ ფოთიდან თფილისში გაგატანეთ გაზეთების კანტორაში სილიბისტრო თავართქილაძეზე გადასაცემათ წერილთან ერთად, დანიშნულებისამებრ მარტო წერილი გადაგიციათ, ფული—544 მანეთი არა. რადგან პირადათ თქვენი ნახვა არ მოხერხდა, გთხოვთ გვიპასუხოთ: 1) რა ბედი ეწია ჩვენს ფულებს, 2) კისრულობთ თუ არა პასუხის მგებლობას?

პატივი[illegible]ცემით ვახილ ი. ქადეიშვილი.


ექიმი

**ვ. ვ. კლდიაშვილი**

შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ღებულობს ყოველ-დღე დილის 12—1 საათ. და სალამოს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 4, კუთხე მიხეილის პრ. ტელეფონი 8—48. ვაგზლის სამკურნალოში მიიღებს ყოველ-დღე დილის 1—2 საათამდე.

ექიმი

**დ. ი. ქორდანია**

იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები სისხლ ნაკლებბა. ქრონიკული მალიარია და ქრონიკული ტრიპერი. სალამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა. გორის ქ. № 6 (დიდუბე). ტელ. 14—37.

სამკურნალო კაბინეთი
ექიმი ალექსანდრე დავითის ძის

**პეპელიასი**

მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე სალამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

**ექიმი გ. მ. მუხაძე**

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ სალამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57; აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

**ექიმი ა. ი. მაჭარაშვილი** [illegible]
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი
ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე სალამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. ქსნიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელ. 15—00.

**ექიმი ნ. ლ. ტერიაშვილი**
მედიცინის დოკტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა.
იღებს ყოველ-დღე შინაგან საბავშვო, სასქესო და საშვილოსნოთი დასნეულებულ ავადმყოფთ—დილის 9—3 საათამ. უფასოთ იღებს ყოველ-დღე დილით 8—9 საათ. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა, № 7, ბინა № 5.

რენტგენის ელექტრო-სხივებით მკურნალი კაბინეტი ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორის

**გ. გ. მეგრაბიანცისა**

შინაგან ავათმყოფობათა სპეციალისტი. მიიღებიან გულისა და ფილტვით დაავადმყოფებულნი. ყოველგვარი გამოკვლევა, ფოტოგრაფიული გადაღება და წამლობა—სხივებით. მშრალი ჰაეროვანი ვანები, პნევმოტორაქსი, დ'არსონვალისა ტოკი და სხვა. რენტგენო-ფოტოგრაფიული გადაღება წინასწარი ჩაწერით. ავათმყოფები მიიღებიან ყოველ-დღე დილის 9 საათ.—1 საათ. და სალამოს 5 საათ.—7 საათამდე. კვირაობით კი დილის 9 საათ. ადრესი: ბებუთოვის ქ. № 23. ტელეფონი 7—92.

**ექიმი ვ. გ. ვეშაპიძე**

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნაშ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი

**ზ. დონხინი**

ყოფილი ასსისტენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს
თვალის ტკივილებით ავადმყოფებს,
დილის 10—12 და სალამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პრ., 76, (ხაიკინის კბილის საექიმო).

ექიმი

**დ. ი. ჯაფარიძე**

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, სალამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ექიმი ქალი

**რ. ა. შიშლო-საგაშვილი**

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზინით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და სალამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 82.

**ვაგზლის კერძო სამკურნალო.**
შიხინოვის აფთიაქის გვერდით ვაგზლის ქუჩაზე
**იღებენ ექიმები-სპეციალისტები:**
ექ. ბოკერია ივ.—ქირურგიული სნეულებანი. ყოველ-დღე 2—3 საათამდე.
ექ. მაზაკიძე ექვ.—შინაგანი და ნერვების სნეულებანი, ყოველ-დღე 11—12 საათ.
ექიმი-ქალი იოსელიანი მარ.—ქალის სნეულებანი, 10,5—11,5 საათ. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.
ექ. კლდიაშვილი ვლ.—შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ-დღე 1—2 საათ. რჩევა ერთი მანეთი, ოპერაცია შეთანხმებით.

**მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისთვის**
ყოველ დღიურ გაზეთ
**„ერთობა“-ზე**
**ხელის მოწერის პირობები:**

| | |
|---|---|
| 1 თვით — 4 მან. 50 კ. | 6 თვით — 27 მანეთი |
| 2 თვით — 9 მანეთი. | 1 წლით — 50 მანეთი |
| 3 თვით — 13 მ. 50 კ. | ცალკე № ყველგან 20 კ. |

ხელის მოწერის პირობები 1 აპრილამდე (ე. ი. პირველ სამ თვეს) ყოველ შემთხვევაში უცვლელი დარჩება,
ვინდის შეიძლება შეიცვალოს თუ ბაზრის მდგომარეობამ მოითხოვა.
გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით:
Тифлисъ почт. ящикъ № 199. РЕДАКЦІЯ „ЭРТОБА“.
ამხ. და თანამგრძნობთ გთხოვთ ხელის მოწერას ნუ დააგვიანებენ.


მშრომელ-მბეჭდავე სტამბა რუსთაველის, გაზაფხულის შესახვევი, № 1.